საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

კვირა 29 აგვისტო 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი ქრონიკა გვერდზე 10 მანეთი [illegible] (15 × 2) 300 მანეთი [illegible] ერთობის ქ. № 4. [illegible] რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62

№ 196 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 196

ქ. ლანჩხუთში არსდება ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის ორი მილიონი მან. თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქმნას აქციის ნახევარი ღირებულება 550 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მან. ე. ი. 550 მან. თითო აქციაზე.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბათს, 9—ხუთშაბათს, და 10—პარასკევს ამა სექტემბრს. ლანჩხუთში: საურთიერთო ბანკში. თფილისში: ცენტრო-ბანკში. ქუთაისში: ვლადიმერ იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ფოთში: ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში: მოსე იაგორის ძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში: ედიშერ თოდიძესთან. სამტრედიაში: სიმონ სპირიდონის ძე ქართველიშვილთან. და სუფსაში კონსტანტინე პანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გამოგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის ხაორგ. კომიტეტი. (2723—5—2)

### საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი ნიკოლოზ იოსების ძე მჭედლიძე, ქალები: ელისაბედ იოსების ასული ილურიძე ქმრით გიორგი და მარიამ იოსების ასული ტომარაძე ქმრით ზაქარიათი, რძლები; ბარბარე ივანეს ასული და ნინა სოლომონის ასული მჭედლიძეები, დები: ანნა სიდომონიძე და ნინა ქიქინაძე, შვილიშ-შვილები: დავითი, არჩილ, თამარი შალვა და ნინა ტომარაძეები და იოსებ, ვახტანგ და მარია მჭედლიძეები აუწყებენ ნათესავ და ნაცნობებს, რომ 27 აგვისტოს გარდაიცვალა

**ბარბარე გიორგის ასული მჭედლიძე**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე: სოლოლაკი პროსელოჩნი ქ. № 24. გასვენება მოხდება კვირას 29 აგვისტოს ამაღლების ეკლესიაში და დაკრძალვა პეტრე პავლის სასაფლაოზე. (2789—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა სარდიონ დავითის ძე კორძაია, და მაკრინე (მაკიკა) ღოღობერიძისა კორძაიას ასული, სიძე იოსებ ალმასხანის ძე ღოღობერიძე, რძალი ელენე კორძაიასი ლორთქიფანიძის ასული, ძმისწული დავით სარდიონის ძე კორძაია და დისწული ნინო იოსების ძე ღოღობერიძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ ორმოცი დღის შესრულების გამო 29 მარიამობისთვეს დილით კვირას, სოფ. საჭილაოში, ნამწარეულის წმინდა გიორგის ეკლესიაში და გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

**ვარლამ დავითის ძე კორძაიას**

სულის მოსახსენებლად. (2787 1—1)

გულ ჩათუთქული მშობლები ნინო გიორგის ასული და მღ. გიორგი ივანეს ძე ნახუცრიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობთ, რომ კვირას 29 აგვისტოს, სოფ. ხაშმის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი უდროვოთ დაკარგულის სიამაყის თფილისის I გიმნაზიის 8 კლასის მოწაფის სულის მოსახსენებლად

**ივანე გიორგის ძის ნახუცრიშვილისა**

(2787—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფოკა (იგივე კოლია) გლახუას ძე. მაზლები: აკაკი და ბენედიქტე ჩხეიძეები, ბიძაშვილი ალექსანდრა ივანეს ასული გუგუშვილისა, ძმა კისტო ქიქინაძე და მამიდაშვილი არკადი ცხვედიანი ულრმესი მწუხარებით ზუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, თფილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**იულია ნესტორი ქიქინაძის ასული ჩხეიძისა**

პანაშვიდი ყოველ დღე ამა 29 აგვისტოდან (კვირიდან) საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან სამშაბათს 31 აგვისტოს, დილის 10 საათ. დაკრძალვა თფილისის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2791—1—1)

მსახიობთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ, რომ ოთხშაბათს, 1 სექტემბერს მაღალ-ნიჭიერის მსახიობის

**ნატო გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევს 2 საათზე. (ნ. 2—1)

დრამატიული საზოგადოების გამგეობა და დირექცია ამით აუწყებს საქართველოს მოქალაქეთ, რომ ოთხშაბათს, 1 სექტემბერს, მაღალ-ნიჭიერის მსახიობის

**ნატო გაბუნია-ცაგარლის**

გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ნაშუადღევს 2 საათზე. (ნ. 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლინკა, შვილები: თამარა, ლეო, მედეა და გივი, ძმა ლასო და რძალი სონა შვილებითურთ ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ

**ტრიფონ ანდრიას ძე ნიორაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში. სამშაბათს, 31 აგვისტოს, წმ. ნინოს ეკლესიაზე. (2799—1—1)

რესპუბლიკის ცენტრალურ სააფთიაქო საწყობისათვის

**საჭიროა**

მანქანაზედ გადამწერი დიდი ხნის პრაქტიკით. უნდა იცოდეს ქართულად და რუსულად ბეჭდვა. მიიღებიან მხოლოდ რეკომენდაციით და კონკურსით. მისამართი: ქართლის (ყოფილ დიდი მთავრის) ქუჩა № 76. (ნ. 2—1)

სახელმწიფო თეატრი

საჭიროა თანამშრომელნი — **ვაჟენი და ქალნი** — ინტელიგენტთაგანნი

ჩაწერა შეიძლება თეატრის კანტორაში 11-დან 2 საათამდინ. გამოცდა 10 სექტემბერს. (ნ. 2—2)

მეორე ქართული კლუბი

პლეხანოვის პრ. № 129.

კვირას 29 აგვისტოს

**სიმებიანი ორკესტრის ბენეფისი**

(გაძლიერებული შემადგენლობით). დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ორშაბათს 30 აგვისტოს

**წარმოდგენა-კონცერტი**

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. [illegible] (ნ. 1—1)

თფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

ამით აცხადებს

**მიღება უმცა** [illegible]

გ. წ. 1 სექტემბრიდან.

[illegible] (2693—1—1)

სახელმწიფო თეატრი

**ბალეტის სკოლა**

[illegible] (ნ. 5—2)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ

**მებოსტნეობის პრაქტიკული სკოლა**

[illegible] (ნ. 12—12)

**„შევარდენში“**

**ტან-ვარჯიშული სკოლა**

[illegible] (ნ. 6—2)

ოზურგეთის სამეურნეო [illegible]

[illegible] (ნ. 5—1)

ფრანგული ლიცეი თფილისში

[illegible] (2643—4—3)

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი

**მ. ი. ვოლოხი**

და განაახლა მიღება ქალ. შინაგ. და ვენერ. ავადმყოფებისა. მიღება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—7-დის, ფრანგების მოედანი № 33. (2614—თ.)

**იყიდება**

ახლად აშენებული ორ სართულიანი

**სახლი**

შიგვე მშვენივრად მოწყობილი რესტორანით ვაგზალთან ახლოს ბრიგადირის ქ. № 6. იკითხეთ რესტორანის პატრონ ლომთაძესთან (ნაძალადევში). (2759—1—1)

## ისევ ეკონომიურ ვითარებაზე

„საქართველოს“ პუბლიცისტებს ყველა ამ ქვეყნიურ წყლულის მალამო მზათ აქვთ, ისე, როგორც „კომუნისტებს“.

პირველნი ყოველი ნაკლის გასასწორებლად მიგვითითებ ნ კერძო საკუთრების სრულ თავისუფლებაზე, მეორენი მის დაუყონებლივ გაუქმებაზე.

საქართველო დარწმუნებულია, რომ თუ ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ ეკონომიურ პოლიტიკაზე ხელი ავიღეთ, მუშები კაპიტალს დავუმორჩილეთ და ქვეყანა — კაპიტალისტების საბატონოთ გავხადეთ, ისინი მსწრაფლ გაგულკეთილდებიან, სპეკულიაციაზე ხელს აიღებენ, და ვაჭრობა მრეწველობას ა ყვავებენ, საქონელი ერთ წუთში გაიაფდება, ფინანსები გაჯანსაღდება და სხ.

მართალია ეს?

კერძო ინიციატივის თავისუფლება ისეთ ხანაში, როცა საერთაშორისო მდგომარეობის, თუ სხვა გარემოების გამო საქონელი იმდენი არ მოიპოვება, რამდენიც ბაზარს ესაჭიროება, და არც მზადდება იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა, ყოვლად უაზრო იქნებოდა. თავისუფალი კონკურენციის და ვაჭრობის რეგულიატორი ბაზარია, უკეთ რომ ვსთქვათ, საქონლის სიმრავლე და მისი გასაღებისთვის მეტოქეობა. დღეს კი ასეთ მეტოქეობას ადგილი არა აქვს, აქ ეს ერთად-ერთი სტიმული საქონლის გაიაფების და მცირე პროცენტებით დაკმაყოფილების—გამქრალია. პირიქით დოლი, შეჯიბრება ხდება სულ სხვა სფეროში—საქონლის გადამალვასა, შეჩერებასა და არ გაყიდვაში.

და ეს საერთო სენათ მოედვა თითქმის ყველა მქონებელ წრეებს. გლეხი ყიდის პურს და სხვა სანოვაგეს იმდენს, და იმდენად, რამდენათაც სამაგიერო საქონლის შოვნა საიმედოთ მიაჩნია და აუცილებლად თავისთვის. დანარჩენს ინახავს. ვაჭარი ხომ გადამალვაზე აშენებს თავის გამდიდრების პერსპექტივებს.

მწარმოებელი წარმოების შემოკლებით, შემცირებით და ასე ბაზრის დამშევით უფრო ისქელებს ჯიბეს, ვინემ მისი გავსებით შესძლებდა.

აქედან დასკვნა ნათელია: თვით საფუძველი კერძო ინიციატივის, თვით ნიადაგი სალი კერძო მეურნეობის მოშლილია, განადგურებულია.

კერძო ეგოიზმი და საზოგადოებრივი ინტერესი დაშორდენ ერთმანეთს საბოლოოდ და წინაამდეგ პოლიუსებზე წამოიჭიმენ.

ამ დაპირდაპირებიდან წარმოიშვა უარყოფითი პოლიტიკა კერძო კაპიტალის და საზოგადოებისგან უარყოფითი დამოკიდებულება ამ პოლიტიკისადმი. ვაჭრობა სპეკულიაცია მუდამ იყო, შემონახვა საქონლისა და უკეთეს პირობების დაცდას მუდამ ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს იყო მაშინ ერთი თვისებათაგანი ვაჭრობის, რომელსაც ანელებდა სხვა სტიმულები ბაზრის მალე დაკავების, სხვაზე წინ მისწრების და ასე მუშტრის დაპყრობის.

ახლა ეს უკანასკნელი შემნელებელი მოტივი გაქრა, და სპეკულიაცია ერთად ერთი შეიქნა ბატონი და მამოძრავებელი კერძო ინიციატივის.

აი ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, გარეშე ჩვენი სურვილისა, გარეშე ჩვენი სოციალისტური მსოფლ-მხედველობისა, თვით ობიექტიური სინამდვილე დღევანდელი ეკონომიური ვითარების, გარდაუვალი აუცილებლობით მოითხოვს ჩვენგან საწარმოო ძალთა განვითარებისთვის სულ სხვა საფუძვლის გამონახვას, სხვა მოტივების წარმოშობას.

და ეს მოტივია ერთათ ერთი საზოგადოებრივი სტიმული—საზოგადოების დაკმაყოფილებისადმი მისწრაფება. იგი კერძო კაპიტალისაგან უარყოფილი თვით საზოგადოებრივ მეურნეობაში პოულობს თავის მატარებელს და დამცველს.

ამ ტენდენციით ამოძრავებული მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოება, წარმოება სახელმწიფოსი და კომუნების.

აქედან ცხადია, საზოგადოებრივ მეურნეობას უნდა მისცეს უპირატესობა სახელმწიფომ, როგორც უფრო გამოსადეგს და ხელსაყრელს ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

მაგრამ, გვეტყვიან, თქვენ ახშობთ კერძო ინიციატივას რეკვიზიციით, კონფისკაციით და სხვა საშინელებებით. ეს პსიხოლოგიურათ ადვილი წარმოსადგენი არგუმენტია, სააგიტაციოთ, მასსის გულუბრყვილო ნაწილის მოსატყუებლათ რამდენიმეთ მაინც გამოსადეგი, მაგრამ აბა დაიდეთ გულზე ხელი და გვითხარით, რომელი მრეწველობა, აყვავებული ან თუნდ ნორმალურ მსვლელობაში მყოფი, გახდა ხარბი რეკვიზიციის საგნათ?

ჩვენ ჩამოვართვით ! ახლები ზოგიერთ მდიდრებს, რომელნიც არაფერს არ ქმნიდნენ და მხოლოდ კუპონების მოჭრით სცხოვრობდენ და გადავეცით იმათ, ვის ხელშიაც იგი სიმდიდრის შექმნას ხელს შეუწყობს არა თუ იმ გზით, არამედ მისთვის საუკეთესო პირობებს შექმნის საზოგადოების ფართე წრეებში.

ჩვენ ჩამოვართვით იძულებითი ფასებში წარმოებაც ზოგიერთ პირებს, რომელთაც ის დანგრევის კარამდე მიიყვანეს და მით საზოგადოებრივ საქმეს საფრთხეს უმზადებდენ. მაგ., „შრომის“ ცეცხლის მძლე აგურის ქარხანა, რომელსაც რკინის გზის მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილებია და მას უმწეოდ. სტოვებდა თავის უმოქმედობით. ერთი სიტყვით ჩვენ საჭიროდ და აუცილებლად დავინახეთ ჩამორთმევა იმ წარმოების, რომელიც ინგრეოდა, რომ ის ფეხზე დაგვეყენებია.

სპეკულიანტებმა ეს მაინც სააგიტაციოთ გამოიყენეს. მათმა იდეოლოგებმა გაზ. „საქართველოდან“ ეს თეორიულად დაასაბუთეს და მას შემდეგ რამდენიც უნდა აცხადონ ჩვენ სპეკულიაციას ვებრძვითო, განა ეს ცალიერი თვალთმაქცობა არ იქნება?

დიახ, ჩვენ ვამბობთ, კერძო ინიციატივა არსად არ შევვიზღუდია, სადაც კი მან რაიმე უნარი გამოიჩინა და სურვილი წარმოების სათავეში ჩადგომის. ჩვენ არ დაუშვით მხოლოდ, რომ წარმოება გაეჩანაგებია და ამით საზოგადო საქმისთვის უდიდესი, გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებიათ.

მართალია, ჩვენ ვერ შევძლეთ კერძო ინიციატივის ყველა დანაკლისი და განაფუძები დაუყონებლივ აღგვედგინა და ამით სპეკულიაციას კიდევ დარჩა და რჩება ნიადაგი საფარფაშოთ. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თანდათანი განვითარება საზოგადოებრივი მეურნეობის ამ სპეკულიაციის უსაზღვრო ბოროტებასაც დაუდებს საზღვარს.

## კოლეგიკური წერილები.

### VIII

**ბოლშევიკები და პროფესიონალური კავშირები.**

„მესამე ინტერნაციონალის“ მამა-მთავარი, კარლ მარქსის მოადგილე გ. ზინოვიევი თავის ვრცელ წერილებში „არკვევს“ პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობას თანამედროვე მომენტში. ახალს ის რასაკვირველია, არაფერს ამბობს, მიდის ბოლშევიკების ნატკეპნი გზით. ისინი არასოდეს არ უყურებდენ პროფესიონალურ კავშირებს, როგორც დამოუკიდებელ შტოს მუშათა მოძრაობისას. პარტიულ დიქტატურას ამ დარგში აღიარებდენ პირველ მცნებათ. პროფესიონალური შეკავშირება სასარგებლოთ მიაჩნდათ იმდენათ, რამდენათაც ის ემორჩილებოდა პარტიას. ასე იყო ფაქტიურათ, სიტყვით კი სცნობდენ კავშირების თავისუფლებას, მაგრამ ამ

## დღეს

**ბოლშევიკების ცნობით პოლონეთის და ყირიმის ფრონტებზე მედგარი ბრძოლა გრძელდება.**

**ბათომში მიღებული ცნობით ბოლშევიკებმა ნოვოროსიისკის ევაკუაცია დაიწყეს 22 აგვისტოს. ვრანგელის ჯართან ბრძოლაა ქალაქიდან 15 ვერსის მოშორებით. ანაპა ვრანგელის ჯარმა დაიკავა.**

**მოკავშირეებმა წინადადება მისცეს პოლონეთს არ წარუდგინოს საბჭოთა მთავრობას დიდი მოთხოვნილებანი.**

**დანციგმა პოლონეთის საჭიროებისთვის სამხედრო მასალის გატარების ნება დართო.**

**საფრანგეთის სინდიკალისტების კონფერენციაზე 94 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ უარყოფილ იქნა წინადადება მოსკოვთან კავშირის დაჭერის შესახებ.**

**ბოლშევიკების ცნობით სპარსეთის წითელი ჯარი შეტევას განაგრძობს. ინგლისის და სპარსეთის ჯარები ყაზვინისაკენ იხევენ.**

ცნობას მთელ მათ პოლიტიკაში ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც აქვს დღეს, მაგალითად, ერის თვითგამორკვევის უფლებას.

ბოლშევიკების თეორიას რევოლიუციონურ მარქსიზმთან არა აქვს რა საერთო. მარქსს არსად არ უთქვამს, რომ თუ პროფესიონალური კავშირი პარტიულ პოლიტიკას არ დაემორჩილა, ისე სოციალისტური მსოფლ მხედველობა ფეხს ვერ მოიკიდებს მუშათა კლასშიო. პირიქით, მარქსის შეხედულებით, პროფესიონალური კავშირი სამჭედლოა, რომელშიაც იჭედება კლასობრივი თვითშეგნება და სადაც თავისთავათ იბაზმება მუშა სოციალიზმისთვის საბრძოლველათო.

რევოლიუციონური მარქსიზმის მიხედვით, მუშათა პარტია გამომხატველია და გზის მიმცემი იმ სოციალისტური მიმართულების, რომელიც გამომდინარეობს მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლისგან. ბოლშევიზმის მიხედვით, თუ ეს მიმართულება პარტიამ არ შეიტანა მუშათა კლასის ბრძოლაში, ისე ამ ბრძოლას არასოდეს არ მიეცემა ფართო, სოციალისტური მიზანიო. ამნაირი განსხვავება იდო სარჩულათ ბოლშევიკ-მენშევიკების დავას პროფესიონალური კავშირების შესახებ. მენშევიკები ხელს უწყობდენ ამ ორგანიზაციების განვითარებას, მათ თანასწორ-უფლებიანობას. ბოლშევიკები კი ამბობდენ ხოლმე,—დამოუკიდებელი კავშირი სახიფათოა სოციალიზმისათვის, და ამიტომ პარტია უნდა ეცადოს ყოველი ღონისძიებით, რომ ის არ გაუშვას თავისი გავლენის ქვეშიდან. მენშევიკების აზრით ეს გავლენა ხდება შიგნიდან, ხდება იმ უბრალო მიზეზით, რომ პროფესიონალური კავშირები თითონ, სტიქიურათ, პარტიისგან დამოუკიდებლათ, ილტვიან და არც შეუძლიათ არ ჩადგენ სოციალისტური მოძრაობის კალაპოტში. ბოლშევიკების აზრით კი, პარტიამ უნდა შექნას ეს კალაპოტი და შიგ ჩააყენოს პროფესიონალური კავშირები.

მენშევიკები თავის საამშენებლო საქმიანობაში ძიდიოდენ ძირიდან მაღლა. ხელს უწყობდენ მუშების გაერთიანებას პროფესიების მიხედვით, მაგალითად მბეჭდავების ან ლითონზე მომუშავეებისას. ყოველ პროფესიას აქვს თავისებურება. ორგანიზაციულ მუშაობაში არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამას. ბოლშევიკები კი მიდიოდენ მაღლიდან ძირს. ისინი აერთებდენ წარმოების მიხედვით, ცდილობდენ სხვადასხვა პროფესიის, მაგრამ ერთი საწარმოო დარგში მომუშავეების, გაერთიანებას. ამითი, ვითომ, თავთავის ქერქში ველარ შეძვრებოდა ესა თუ ის პროფესიონალური კავშირი და კარჩაკეტილობის ნიშნები არ შეეპარებოდათ მუშათა მოძრაობაში, მაგრამ თითონვე უფრო გამოუდიოდათ ის, რისაც ეშინოდათ.

ერთი და იგივე პროფესია არის სხვადასხვა საწარმოო დარგებში. ერთი და იგივე პროფესიონალური კავშირი აერთებს მთელი ქვეყნის მუშებს ამა თუ იმ დარგისას. აქ მუშა უყურებს თავის თავს, როგორც დაქირავებულს, ის ებრძვის შრომის ექპლოატაციას. ეს იყო მენშევიკების და საერთაშორისო სოციალიზმის გზა. ამ გზით ჩვენ მივაღწიეთ ევროპის ფარგლებში შეკავშირებულ მძლავრ მუშათა ორგანიზაციებს. ბოლშევიკების ორგანიზაციული შემოქმედება კი ისეთი გამოდგა, რომ ერთი წარმოების მუშები დაშორდენ მეორესას, ერთში ცხოვრობდენ თავისი ინტერესებით, მეორეში თავისით. მენშევიკური პრაქტიკა სპობდა კარჩაკეტილობას მუშათა მოძრაობაში, ბოლშევიკური ამას ქმნიდა და ამაგრებდა.

შორს რომ არ წავიდეთ, თითონ გ. ზინოვიევს დავასახელებთ მოწმეთ. ის ეხება თანამედროვე პროფესიონალური კავშირების უმთავრეს ნაკლს („ახ. კომუნისტი“, № 18) და გმობს მათი ვიწრო ეგოისტურ მისწრაფებებს, გმობს სინდიკალისტურ მიმართულებას ახლანდელ მოძრაობაში და ამბობს:—„როდესაც რუსეთში იბადება გეგმები იმის შესახებ, რომ რკინის გზები გადაეცეს რკინის გზელთა კავშირს, ლითონის მრეწველობა—ლითონზე მომუშავეთ და სხვა, ეს არის დიდი ნაბიჯი უკან გადადგმულიო“.

ბოლშევიკების „დიდი მოაზრე“ და ხელმძღვანელი ვერ ამჩნევს, რომ ეს უკან გადადგმული ნაბიჯი აუცილებელი შედეგია იმ პოლიტიკის, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ პროფესიონალურ მოძრაობაში. ამა თუ იმ წარმოების (და არა ამა თუ იმ პროფესიის) მუშები თავის კავშირში წინა ადგილზე აყენებენ წარმოების, და არა შრომის ინტერესებს. ლითონზე მომუშავეთა კავშირი, მაგალითათ, ლითონის მრეწველობას სთვლის თავისათ, ასე უყურებს რკინისგზელთა კავშირი რკინის გზებს, და სხვა. საწარმოო კავშირის მთავარი ყურადღება მიქცეულია წარმოების განვითარებისაკენ. ის ამიტომ ურიგდება შრომის პირობების დაქვეითებასაც.

ზინოვიევი ებრძვის აგრეთვე ინდუსტრიალიზმის მიდრეკილებებს:—„ინდუსტრიალისტების სურვილია, მთელი ჩვენი მუშაობა დაამყარონ ინდუსტრიალურ სამრეწველო მუშებზე და მედიდურათ ექცევიან პროლეტარიატის მთელ მასასო“. ეს დასაგმობი ნაკლიც ბოლშევიკური პოლიტიკის შედეგია. როცა პროფესიონალური კავშირის მთავარ საქმეთ გამოცხადებულია წარმოება, ის რა თქმა უნდა მეტ ყურადღებას მიაქცევს დახელოვნებულ მუშებს, რადგან ამისთანებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ წარმოებისთვის. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ესენი მედიდურათ შეხედავენ დანარჩენ, არა დახელოვნებულ მუშებს. მუშათა არისტოკრატია უთუოთ გაჩნდება ამ ნიადაგზე.

ბოლშევიკებმა თავისი ხელით შექმნეს კონკურენცია მუშათა კლასში. თითონვე აღნიშნავენ ხოლმე, რომ ერთი წარმოების კავშირი ფიქრობს „თავის“ საწარმოო დარგისთვის, მეორე თავისთვის. გამოიწვიეს კარჩაკეტილობა და სხვა და სხვა დარგების მუშათა კლასი დააშორეს ერთმანეთს. შექმნეს ასეთივე კარჩაკეტილობა ერთი და იმავე კავშირში და დახელოვნებული მუშები ჩამოაშორეს არა დახელოვნებული პროლეტარიატის მთელ მასას. როცა ამა თუ იმ კავშირმა მარტო იმაზე უნდა იფიქროს, რომ „ჩემ“ დარგს არ მოაკლდეს საწარმოო საშუალებები და „სხვისმა“ დარგმა აქ წინ არ გამისწროსო, მაშინ აუცილებელია მეტოქეობა და გამთიშველი ჯიბრობა მუშათა წრეებში.

ამ არა სასურველ მოვლენებს ბოლშევიკები ახლა ებრძვიან ზემოდან, ზინოვიევის წერილები მთელი გეგმა.... როგორ უნდა გააძლიეროს კომუნისტურმა პარტიამ მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში, როგორ უნდა უქადაგოს მუშებს, რომ თანხმობა სჯობს უთანხმოებას და ერთობა სხვა და სხვა ჯგუფებათ დანაწილებას. ახლო მომავალი დაანახვებს ამ „ამშენებლებს“, რომ ეს სოლომონ ზურგიელიძისებური ქადაგება ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ბოლშევიკებს, მართალია, სხვა გზა არ აქვთ, მუშათა კლასს უნდა დაავალონ მთავარი პასუხისმგებლობა წარმოების საქმეში. სხვანაირათ ვერ მოიქცევიან, რაკი სხვათა შორის ძირიანათ უარჰყვეს კერძო ინიციატივა. რუსეთის მუშათა კლასმა უნდა გასწიოს ახლა თავისი თავის ექსპლოატაცია, „ნებაყოფლობით“ უნდა გააუარესოს თავისი შრომის პირობები. უამისოთ არა გაეწყობა რა დანგრეულ ქვეყანაში. რუსეთის მუშა გვაგონებს დღეს იმ წვრილ მწარმოებელს, რომელიც დილიდან საღამომდის მუშაობს და აუშავებს თავის ოჯახს.

რევოლიუციონური მარქსიზმი ყოველთვის ებრძოდა ამ თვით-ექსპლოატაციას. ბოლშევიკები კი ამისკენ მოუწოდებენ მუშათა კლასს მარქსიზმის სახელით. ბოლშევიკების ქვეყანაში დღეს გამეფებულია წვრილი, ხელოსნური მრეწველობა მსხვილი-კაპიტალისტურის მაგივრათ, გამეფებულია ამიტომ ჯგუფურიეგოისტური ინტერესები, ფეხს იდგამს სინდიკალიზმი და ინდუსტრიალიზმი, ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რასაც აქამდის ჩვენც და ბოლშევიკებიც ვეძახდით წვრილ ბურჟუაზიულ მისწრაფებას, ვიმეორებთ, ბოლშევიკური რუსეთი უნდა დადგომოდა ამ გზას, სხვა გზა არ ჰქონდა, მაგრამ უნდა ითქვას ერთხელ და სამუდამოთ, რომ აქ არაფერ შუაშია რევოლიუციონური მარქსიზმი.

რევოლიუციონურ მარქსიზმს სოციალიზმი გამოჰყავს კაპიტალისტური წარმოებისგან და არა წვრილფეხა სახელოსნოებისგან.

**ხ. დევდარიანი.**

## სასნოვსკი და მენშიკოვი

ჩვენს პატარა შენიშვნაზე იმის შესახებ, თუ როგორ მენშიკოვობს „პრავდა“-ში სასნოვსკი, „ახალ კომუნისტში“ (№ 28) რ. კ.—მ ვრცელი წერილი მოათავსა არა სიკრცით რა თქმა უნდა, არამედ—„აზრებით“.

ბ-ნი რ. კ. ასე იწყებს:

„საუცხოვო ლიტერატურული პარალელია (იხ. გაზ. „ერთობის“ გუშინდელი № 193). ეს დაპირდაპირება საბჭოთა რუსეთის და რუსეთის თვითმპყრობელობისა. და ამით უნდათ მენშევიკებს ერთი წვერ-მოტეხილი კალმის მოსმით მოსპონ ბოლშევიზმი და კომუნიზმი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს პარალელი —სასნოვსკის მენშიკოვთან დაპირდაპირება საუცხოვო ილიუსტრაციაა იმისი, თუ რამდენ მანძილით დაშორდა ახალი, ბოლშევიკური რუსეთი ძველს, თვითმპყრობელურ რუსეთს.

„ამ პარალელში საერთოა მხოლოდ ის, რომ როგორც ერთ დროს მენშიკოვი საუკეთესო ლიტერატურული გამომხატველი იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკისა, სწორედ ასევე საუცხოვო გამომხატველია ამხ. სასნოვსკი საბჭოთა რუსეთის“ პოლიტიკისა.

განა ისტორიის მთელ სივრცეზე საერთოდ იდეას და კერძოთ პოლიტიკას პიროვნებები არ ხატავენ?

„ვინ იყო მეტერნიხი, ბისმარკი, მარქსი, ვინ არის ლენინი, ლოიდ ჯორჯი და სხვები თუ არა პიროვნებანი, რომლებიც თავის დროისა და კლასის პოლიტიკას გამოხატავენ? რითია ცუდი და დასაგმობი ბისმარკი მარქსთან შედარებით, თუ არა იმით, რომ ის საუკეთესო პოლიტიკოსი იყო მუშათა კლასის წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრით რითია მარქსი საქებ-სადიდებელი, თუ არა იმით, რომ ის იყო მთელი ისტორიულად უდიადესი კლასის, პროლეტარიატის მთელი გონიერების და პოლიტიკის უაღრესად და უმწვერვალესად გამომხატველი.

„რა თქმა უნდა, ვერც მენშიკოვი შეედრება ბისმარკს ისე, როგორც სასნოვსკი ვერ შეედრება მარქსს, მარა ორივე ეს პიროვნება თავის დარგში საუკეთესო შემსრულებლები არიან თავიანთ როლის.

„მარა საქმე ამ როლებშია და არა მათ მსგავსებაში. პირველის როლი, როგორც ვთქვით, თვითმპყრობელობის პოლიტიკაა, ხოლო მეორის საბჭოთა რუსეთის. რაა ამ ორ მოვლენას შორის საერთო? ჩვენებურად—სრულიად არაფერი! ხოლო მენშევიკურად კი თითქმის ყველაფერი“.

აქ ჩვენ წერტილს ვსვამთ და ვამბობთ: ეს არის რ. კ.-ს ფიქრით ალბათ, ახალი გამოკვლევა და აღმოჩენა მენშიკოვზე.

რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის საზოგადოებაში, განურჩევლად მიმართულებისა, მდგომარეობისა და სხ. სამართლიანად შემუშავდა ის აზრი, რომ „ნოვოე ვრემია“-ს მენშიკოვი იყო მატყუარა, ფლიდი, გამცემელი, მოღალატე და სხ. ამგვარი თვისების მწერალი.

ის სწერდა არა მარტო იმიტომ, რომ „ერთ დროს საუკეთესო ლიტერატურული გამომხატველი იყო თვითმპყრობელობის პოლიტიკისა“, როგორც ეს ბ-ნ რ. კ—სა ჰგონია, არამედ—ის სწერდა იმიტომ, რომ ფული აღლო.

ფულზე, ოქროზე მენშიკოვი გაჰყიდდა და ჰყიდდა კიდეც ძმას, ნათესავს, მოყვასს.

ამიტომ მონათლეს ის იუდა-გამცემლის სახელით!

მაშინ იდეური ხალხი, უკიდურეს კონსერვატორიდან დაწყებული თვით ბოლშევიკამდე იმ აზრისა იყო, რომ საზიზღროებაა ისეთი ზრახვებით წერა, როგორც მენშიკოვი სწერს. საზიზღარია თვით ის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ასეთი მწერლების „სამსახურს“ საჭიროებსო.

ეს უდავო აზრი ახლა რ. კ.—მ სადავოთ გახადა. მაგრამ საქმე ამაში როდია!

ისე, როგორც თვითმპყრობელობის დამცველთა ერთს ჯგუფს ამ წყობილების გასამაგრებლათ საჭიროდ და სასარგებლოთ მიაჩნდა მწერლების და პრესის მოსყიდვა, ისე, ახლაც, კომუნისტების ერთ ჯგუფს, საბჭოთა ძალაუფლების გასამაგრებლათ საჭიროდ მიაჩნიათ პრესის, მწერლების და სხ. მოსყიდვა.

აი რა გავიგეთ ჩვენ რ. კ—ს წერილიდან, აი რა გამოაფინა „კომუნისტის“ მენშიკოვმა თავის წერილში!..

ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცოდით, მოგვეპოვებოდა ამის შესახებ საკმაოდ მასალა და აი, ამ ჩვენს საბუთებს დაემატა ერთი ახალი საბუთი,—რ. კ—ს აღსარება.

ასე იყო ძველად—ნიკოლოზ მეფის დროს, ასევე დარჩა ახლა ლენინის დროს.

მაშინ ვაჭრობდა სინდის-ნამუსით და კალმით მენშიკოვი, ახლა ვაჭრობს—სოსნოვსკი.

პირველის ბაზარი იყო „ნოვოე ვრემია“, მეორეს ბაზარია—„პრავდა“.

მონარქიზმის დამცველ მწერლებში ერთი გულწრფელი, იდეური მწერალი იყო—შულგინი, მაგრამ მას საჭიროდ არ მიაჩნდა, პირდაპირ საზარალოდ თვლიდა ებრაელების წინააღმდეგ იუდა—მენშიკოვების წასისინებას, სამარცხვინო საქმეთ მიაჩნდა აგრეთვე ბეილისის საქმე!..

ის იყო და ბოლომდე დარჩა იდეური მებრძოლი თვითმპყრობელობისათვის, მონარქიისათვის.

მენშიკოვი კი იმის მიხედვით დასწერდა, ვინც რამდენს მისცემდა!..

პურიშკევიჩს სამარცხვინოდ და თავის მოსაჭრელად მიაჩნდა რასპუტინის საშუალებით მონარქიზმის გამაგრება... ებრძოდა იმ ჯგუფს, რომელიც რასპუტინის დახმარებით ქვეყანას ატრიალებდა: მენშიკოვი კი ამ ჯგუფს იცავდა იმიტომ, რომ მათგან ქანქარს იღებდა.

აი რაგვარი მიმართულების გამომხატველი იყო მენშიკოვი!..

ერთი და ორი მენშიკოვი არ ყოფილა რუსეთში იმ დროს. მათი რიცხვი მრავალი იყო და მენშიკოვი, როგორც „დიდი პიროვნება“ მართლა თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მატყუარობის, ფლიდობის, გამცემლობის, მოსყიდვის უზნეობისა და გარყვნილების.

და როცა პროგრესიული საზოგადოება და საერთოდ იდეური ხალხი ჰკითხულობდა მწერალ—პუბლიცისტ მენშიკოვისა და ძმათა მისთა ნაწერებს, თანახმად უკვდავ სატირიკოსის დახასიათებისა, ამბობდა: сколько дадено—о?

ამის შემდეგ განა ვისმე აზრად მოუვიდოდა ეთქვა: მენშიკოვი პობედონოსცევის ან სტოლიპინის დაწყებულ საქმეს აკეთებსო?

არავის!

რ. კ.—კი ასე სწერს: „ვერც მენშიკოვი შეედრება ბისმარკს ისე, როგორც სასნოვსკი ვერ შეედრება მარქსს, მარა ორივე ეს პიროვნება თავის დარგში საუკეთესო შემსრულებლები არიან თავიანთ როლისა“.

დიდი სირცხვილია და თავხედობა მენშიკოვ-სოსნოვსკებთან იმ დიდებული ადამიანის აჩრდილის შეწუხება, რომელმაც მთელი თავისი უმწიკვლო სიცოცხლე, უანგარო შრომა საკაცობრიო იდეალებს შესწირა...

ასეთი უტიფრობა „კომუნისტის“ რ. კ.-საც არ ეპატიება!

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 აგვისტო.

## ფრანგული ცნობები

**სამხრეთ სლავია და ჩეხო სლოვაკია.**

სამხრეთ სლავიის და ჩეხო სლოვაკიის კავშირის შესახებ ვესნიჩმა სთქვა: ჩვენ გვინდა დავიცვათ მშვიდობიანობა და უზრუნველვყოთ იმ ხელშეკრულობათა სისრულეში მოყვანა, რომლებიც ახალ შექმნილ მდგომარეობას იცავს. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მოკავშირეთა მხარეზე ყოფნა და იმედი გვაქვს, რომ მეგობრები და მეზობლები მშვიდობიან თანამშრომლობისათვის ჩვენ შემოგვიერდებიან.

**ინგლისი და რუსეთი.**

ბალფურმა კამენევს მიმართა ნოტით, რომელშიაც იგი წინადადებას აძლევს მას შეატყობინოს პარასკევამდე შეეფერება, თუ არა საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილი პირობები იმ პირობებს, რომლებიც ლოიდ ჯორჯსა და ჯიოლიტს ეცნობაო. ინგლისის მომავალი პოლიტიკა, ნათქვამია ნოტაში, დამოკიდებული იქნება ამ შეკითხვის პასუხზე. აღიძრა საკითხი ლონდონიდან ბოლშევიკურ დელეგაციის წასვლის შესახებ.

**ვენიზელოსზე თავდასხმის გამო.**

გრნესტს დოე „ფიგაროში“ ეხება რა საკითხს თუ ვისი გავლენით მოხდა ვენიზელოსზე თავდასხმა, მიუთითებს ლიუცერნის ინტრიგებზე და თანვე უმატებს, არ იქნება გასაკვირველი, თუ საფრანგეთმა მიიღო გადაწყვეტილება ასეთი ინტრიგების ერთი დაკვრით მოსპობის შესახებო.

დანციგში პოლონეთის საჭიროებისათვის სამხედრო მასალის გატანის ნება დართეს. მოვიდა საფრანგეთის კრეისერი „გეიტონი“.

## გერმანული ცნობები

**გერმანიის მრეწველობა.**

თანახმად „დეიტშე ალგემაინე ცაიტუნგი“-ს ცნობისა ბელგიის რკინის გზათა სამმართველომ გერმანიას 4000 ვაგონი შეუკვეთა, ბელგიის სასურსათო ბიურომ კი 3000 ვაგონი. ეს მოვლენა აიხსნება მით, რომ ბელგიის მწარმოებლებმა თითეულ ვაგონში 27,000 ფრანკი მოითხოვეს მაშინ, როდესაც გერმანიის მწარმოებლებმა ითხოვეს მხოლოდ 21,000 ფრანკი.

**ხელშეკრულობა ესპანეთსა და შვეციასთან.**

რეინის და ვესტფალის რკინის მწარმოებლებმა ესპანეთთან და შვეციასთან დასდვეს გრძელ ვადიანი ხელშეკრულება, მათგან მადნის შესყიდვის შესახებ. ასეთი ხელშეკრულების დადება აიხსნება მით, რომ აღნიშნულ მწარმოებლებს არ უნდათ დამოკიდებულნი იყვნენ ლორენის მაღაროებზე, რომლებიც საფრანგეთის ხელში იმყოფება.

**ბოლშევიკები და სინდიკალისტები.**

სინდიკალისტების კონფერენციაზე 94 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ უარყვეს მოსკოვთან კავშირის დაჭერა.

**მოლაპარაკება მინსკში.** ვარშავის მთავრობამ მხოლოდ ახლახან გამოაქვეყნა ნოტა მინსკის მოლაპარაკების შესახებ. ნოტაში აღნიშნულია (დამახინჯებულია) და აცხადებს ენერგიულ პროტესტს ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც პოლონელების დელეგატებს ძლიერ ავიწროებენ. (დამახინჯებულია).

## ბოლშევიკების ცნობები

**კომუნისტები ფრონტზე.**

**მოსკოვი.** შესდგა კრასნოპრესნენის რაიონის კომუნისტების კრება. კრებაზე განაცხადეს, რომ აღნიშნულ რაიონიდან ფრონტზე 120 კომუნისტი მოხალისე მიემგზავრებაო.

**მოლაპარაკება მინსკში.**

**მოსკოვი,** აგვ. 28. აგვისტოს 25, მინსკში რუსეთ-უკრაინის და პოლონეთის დელეგატებს შორის მოლაპარაკება გრძელდებოდა. საბჭოთა მთავრობის მიერ წაყენებული პირობები პოლონეთის დელეგაციამ მიუღებლად აღიარა. ამაზე რუსეთ უკრაინის დელეგაციამ უპასუხა. პოლონეთის საზავო პირობები ჩვენ არ ვიცით. ისინი უარყოფდენ მხოლოდ რუსეთის პირობებს. ჩვენი წინადადება უკანასკნელი არ არის. ჩვენ ზავი გვინდა. ჩვენ პოლიტიკას არა ვსცვლით იმისდა მიხედვით, თუ როგორია მდგომარეობა ფრონტებზე, ვინაიდან ჩვენთვის ეს არის ომი ზავისათვის. მოლაპარაკება გრძელდება.

**სრულიად რუსეთის აღწერა.**

დღეს მთელ საბჭოთა რუსეთში აღწერა დაიწყება ამ. აღწერის მიზანია არა მარტო მცხოვრებთა რიცხვის გამორკვევა, არამედ ყველა იმისა, რაც მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას გააჩნია. აღწერის მიზანია გამორკვევა პროლეტარულ მეურნეობის ხასიათისა, ფაბრიკა და ქარხნების მდგომარეობისა და მთელ მცხოვრებთა ცხოვრებისა და მოქმედების. ჩვენ, როგორც კარგმა მამასახლისმა, უნდა ვიცოდეთ მთელი ჩვენი ქონება. დაეხმარეთ აღწერაზე მომუშავეთ, მიეცით მათ საშუალება გაიცნონ საბჭოთა რესპუბლიკის ნამდვილი მდგომარეობა.

**ბაასი პურის განაწილებას ეხება.**

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კალინინი „ოქტომბრის რევოლიუციის“ მატარებლით დონის ოლქში მოგზაურობს. მიტინგებზე კალინინის გამოსვლას ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს. ამხანაგი კალინინი ყაზახებს დიდხანს ესაუბრება. ბაასი პურის განაწილებას ეხება.

**წინადადება პოლონეთს.**

ინგლისმა, იტალიამ და საფრანგეთმა წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას არ წარუდგინოს საბჭოთა რუსეთს დიდი მოთხოვნილებანი და მოკავშირეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ ხაზს არ გასცილდენ. ასეთივე დარიგება მისცა პოლონეთს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. საფრანგეთის გაზეთები სწერენ, რომ თუ საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდა ზავზე მაშინ მოკავშირეები ბლოკადს გააძლიერებენ, გაგზავნიან გემებს დანციგში მოაწყობენ სამხედრო ექსპედიციას და ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად პოლონეთის ყველა მეზობელ სახელმწიფოს გააერთიანებენო.

**სპარსეთში.**

ბაქო. ირანის წითელი ჯარი შეტევას განაგრძობს. ინგლისისა და სპარსეთის ჯარები ყაზვინისაკენ იხევს.

## ლიონის ცნობები

**დანციგის მიმართულებით.**

**ანტვერპენი.** ამერიკის გემი სამხედრო მასალით დატვირთული ნავთსადგურიდან გავიდა და დანციგის მიმართულებით გაემგზავრა.

**პოლონელებს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში.**

**ბერლინი.** ტურკენიალდის ქარხნის მუშებმა, ბერლინის მახლობლად, დაამსხვრიეს ოთხი ჰიდრო ჰაეროპლანი და სამხედრო მასალა, რომელიც მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა იმ მოსაზრებით, რომ ის შემდეგ პოლონელებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

28 აგვისტო.

**სამხედრო ცნობა.** 27 აგვისტო.

**მოსკოვი,** 28 აგვ. (რადიო) **პოლონეთის ფრონტი.** ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში მედგარი ბრძოლებია. ლვოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ 13 ტყვიისმფრქვეველი და თოფები. **ყირიმის ფრონტი.** ხერსონის და არეხოვის რაიონებში მედგარი ბრძოლები გრძელდება.

**ანატოლიის დელეგატები.**

**ბაქო,** 27 აგვისტო. აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ჩამოვიდა ოსმალეთის დელეგატები, რომლებმაც გამოიარეს ტრაპიზონ-ტუაპსე-არმავირ-პეტროვსკზე. შავი ზღვა უვნებლათ გამოიარეს იმის წყალობით, რომ ღელვა იყო, თორემ ინგლისელებმა იცოდენ, რომ დელეგატები უნდა წამოსულიყვნენ და ნაპირებთან მოელოდნენ.

**რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ.**

ბაქო, 26 აგვ. ორივე რესპუბლიკების მიერ შემუშავებულ დებულების თანახმად, ა. ს. ს. რ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს რ. ს. ფ. ს. რ-ის საერთო პრინციპებით. საერთოა აგრეთვე წესები და ნიხრი. სატელეგრაფო, სატელეფონო და რადიო-ტელეგრაფის მასალებს აწვდის რ. ს. ფ. ს. რ. იმავე წესით, რა წესითაც სარგებლობენ ფედერაციის შემადგენელი საბჭოთა რესპუბლიკები. ჩამოთვლილი მასალების ზედმეტი ნაწილი იგზავნება რუსეთში. მოეწყობა საფოსტო მატარებლების მუდმივი მიმოსვლა რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ—ს შორის.

**ყუბანში.**

**ეკატერინოდარი.** 26 აგვ. ახტირსკაიას რაიონში გადმოსხმულ ვრანგელის დესანტის ლიკვიდაცია კარგად ტარდება. შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგის „სამაგალითო ბრიგადის“ ნაწილების ფრონტი ჩვენმა ჯარმა გაარღვია, დაიპყრო სად. ბრინკოვსკაია და წინ მიიწევს კონევსკაიასკენ. უკანასკნელ ცნობებით, დესანტს ჩვენი ჯარი გარს შემოერტყა და მისი სრული განადგურება—უახლოეს დღეების საკითხია.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**მდგომარეობა ჩინეთში.**

**ლონდონი.** 20 აგვ. თანახმად შანხაიდან მოსული დეპეშებისა, მდგომარეობა ჩინეთში ამ უკანასკნელ ხანში ბევრად გაუმჯობესდა. მოძრაობა რკინის გზებზე განახლდა.

**ვრანგელის შესახებ.**

**პარიზი.** 15 აგვ. „ფიგარო“ გენ. ვრანგელს საგანგებო წერილს უძღვნის. წერილის ავტორის სიტყვით დენიკინი არ შემცდარა თავის მოადგილის არჩევაში: ვრანგელი ძლიერი ორგანიზატორული ნიჭით არის დაჯილდოვებული. სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ სრული ქაოსი ვრანგელმა წესრიგით შესცვალა. საფრანგეთმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ლენინისა და ვრანგელის მთავრობისაგან მან უკანასკნელი უნდა აირჩიოს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ვრანგელს, ვინაიდან მას წინააღმდეგ შემთხვევაში სრული განადგურება მოელის.

**ინგლისის მრეწველობა**

**ლონდონი** აგვ. 20 „ტაიმსი“ სწერს: ინგლისის სამრეწველოთა ფედერაციამ მიმართა ლოიდ ჯორჯს შემდეგი შინაარსის განცხადებით: ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის მძიმე მდგომარეობა თხოულობს მთავრობის ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის დაუყონებლივ გადასინჯვას. დიდი გადასახადები ნამეტურ მოგებაზე, კატასტროფიულ მდგომარეობაში აყენებს მრეწველობას. გადასახადების გადიდებას კი იწვევს მთავრობის დამღუპველი ფინანსიური პოლიტიკა და სახელმწიფოს ჩარევა უსარგებლო ავანტიურებში. მრეწველთა ფედერაცია თხოულობს გადასახადების დაწესების კომიტეტის შედგენას, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ სამრეწველოებისა და სამინისტროს წარმომადგენლებმა. კომიტეტმა უნდა გაუწიოს სახელმწიფოს ფინანსიური კონტროლი, მანვე უნდა გამოარკვიოს, თუ რა რაოდენობის გადასახადის ატანა შეუძლიან სახელმწიფოს.

ამავე კომიტეტმა მთავრობის ფინანსიურ პროექტებს თავისი დასკვნა უნდა გაუკეთოს. მრეწველთა ფედერაცია ურჩევს მთავრობას უარყოს ცენტრალიზაცია სახელმწიფოს სამოქალაქო მართველობის საქმეში.

**გუჩკოვი და ბოლშევიკები.**

**ლონდონი.** აგვ. 19. „ტაიმსის“ ცნობით გუჩკოვმა უარი განუცხადა გერმანიის მილიტარისტებს ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ჯარის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე.

**მცხოვრებთა რიცხვი.**

**ვენა.** აგვ. 21. უკანასკნელი აღწერით გამოირკვა, რომ ავსტრიაში მცხოვრებთა რიცხვი 6,067,000 კაცს უდრის.

**მოსავალი საფრანგეთში.**

**პარიზი.** აგვ. 20. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს დიდ გვალვებს სამხრეთ-საფრანგეთში. ამ გვალვებმა პურის მოსავალზე ცუდი გავლენა იქონია, ხეხილის უხვ მოსავალს კი ხელი შეუწყო. მებოსტნეობაც კარგ მდგომარეობაშია. ელიან ყურძნის მშვენიერ მოსავალს.

**ნოვოროსიისკის ევაკუაცია.**

**ბათომი.** აგვ. 28. ეს არის მივიღეთ ნოვოროსიისკის შესახებ სარწმუნო ცნობები. აგვისტოს 22 ბოლშევიკები შეუდგნენ ნოვოროსიისკის ევაკუაციას, გენ. ვრანგელის დესანტთან ბრძოლა ქალაქიდან 10—15 ვერსის დაცილებით სწარმოებდა. კომისრებმა მუშებს მობილიზაცია უყვეს და ფრონტზე გაგზავნეს. ასაფეთქებელ მასალის ნაწილი ააფეთქეს, ნაწილი გაიტანეს. ნოვოროსიისკთან ბოლშევიკების მდგომარეობა უიმედოა. ანაპა ვრანგელის ჯარის დესანტმა დაიკავა.

**ყოფილ ტყვეთა მობილიზაცია.**

საბჭოთა რუსეთში გამოცხადდა ავსტრიისა და გერმანიიდან დაბრუნებულ 1886 წ. დაბადებულთა მობილიზაცია.

**ვინ შეუდგინა თავდასხმის გეგმა პოლონელებს.**

**მოსკოვი.** აგვ. 26. რადიო. პოლონელებს თავდასხმის გეგმა ფრანგებმა შეუდგინეს რუსების საწინააღმდეგო მოქმედებაში მახლობელ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის გენერალი ანრი, მას შველოდენ მეფის მომხრე ვარშავაში დარჩენილი რუსებიც.

# ახალი ამბები

**1-ლ სექტემბერს, ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. საკანტროლო კომისიის მორიგი სხდომა,—ვთხოვთ ამხანაგებს რადგანაც არის ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები გასარჩევი, უეჭველად დაესწრონ და თან იქონიონ მოხსენებანი მათდამი დავალებულ კითხვებზედ.**

— **ფულის კურსის გამოცხადების აკრძალვა.** აგვისტოს 26-ის სდომაზე მთავრობამ პრესაში ვალიუტის კურსის გამოცხადება აკრძალა. ამ დადგენილების დამრღვევთ დაატუსაღებენ სამი თვის ვადით. ვალიუტის კურსის გამოცხადების უფლება მხოლოდ ფინანსთა მინისტრს ეძლევა. ფინანსთა სამინისტრომ ამის შესახებ განსაკუთრებული ცირკულიარი უნდა შეადგინოს.

— **მცხოვრებთათვის შეშის მიწოდების საქმე.** რადგან ფასებმა საზღაპრო აიწია ბაზარზე და ფართო მასისთვის მიუწდომელი გახდა პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა, სატყეო განყოფილებამ მიზნათ დაისახა ამ შემთხვევაში დახმარების ხელი გაუწოდოს მათ და ამ მიზნით ის აძლევს საექსპლოატაციოთ ტყეებს სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციებს: ქალაქთა კავშირს, ერობათა, თემთა კავშირებს, რკინის გზებს, სამხედრო უწყებას და სხვათ, რათა ამ გზით ადგილობრივ მკვიდრთათვის დაეზადდეს ხელმისაწდომ ფასებში შეშა, ნახშირი და სხვა.

— **უცხოეთში გასვლის ყალბი მოწმობები.** განსაკუთრებულმა რაზმმა აღმოაჩინა ბაქოს გასასვლელი და შემოსასვლელი ყალბი მოწმობების დამამზადებელი ჯგუფი. აღმოაჩინეს ყალბი მოწმობები და უნახეს ყალბი ხელთმონაწერები და ბეჭედი. ამ ჯგუფის წევრები სამხედრო სატუსაღოში მოათავსეს. საქმე დაწვრილებით გამოსაძიებლად საოლქო სასამართლოს პროკურორს გადაეცა.

— **საქართველოს საელჩო ჩრდილოეთ-კავკასიაში.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ ს. ი. პაიჭაძე დანიშნა კონსულად შემდეგ ადგილებში: ყუბანის ოლქში, სტავროპოლისა და შავი ზღვის გუბერნიაში, სოჩის და ტუაპსეს გამოკლებით. კონსულის უფლება გავრცელდება დონის რაიონზედაც. დასახელებულ ადგილებში დაინიშნა ვიცე კონსულებიც: არმავირში — გიორგობიანი, როსტოვში—ჩიქოვანი და ეკატერინოდარში—სინთიბიძე. კონსული პაიჭაძე სტავროპოლში იცხოვრებს.

— **სამხედრო საველე სასამართლო.** აგვისტოს 24-ს გაარჩია საქმე კოოპ. მოაგარაკეებზე გაძარცვის მიზნით არაღებულ თავდასხმის შესახებ. ბრალდებოდენ სამ კაცს: ერთ მათგანს მიესაჯეს სიკვდილით დასჯა და ორს 15 წლის საკატორღო მუშაობა.

— **ახალქალაქის ერობის ხმოსნების** პირველი სხდომა შესდგა. კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს ფაჩულია. სხდომაზე აირჩიეს ერობის გამგეობის წევრები: ვ. რამიშვილი, ე. ნიკურაძე და ს. კაიტაჯიანი—ყველა ს.-დემოკრატები.

მკვიდრი ძმების პირველი სასო დადვანის და მეორე სევარიან ჯაფარიას მკვლელები და სისხლის სამართლის დამნაშავენი. ვსთხოვ საგარეო საქმეთა მინისტრს სასწრაფოდ გადასდგას შესაფერი ნაბიჯი ერთის მხრით წართმეული საქონლის დასაბრუნებლად და დატყვევებული სვანების განსათავისუფლებლად, მეორეს მხრივ ბალშევიკური მთავრობისაგან დადვანის და ჯაფარიძის როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს გაცემა. ეს დატუსაღება და ქონების ჩამორთმევა სვანებში იწვევს დიდ მღელვარებას და აპირებენ სამაგიერო თავდასხმას, რითაც შეიძლება გართულდეს ბალშევიკებთან ურთიერთობა, ამიტომ დიპლომატიური ნაბიჯი ჩქარა უნდა იქნეს გადადგმული შემდეგი მაცნობეთ ცაგერში. დამფუძნებელ კრების წევრი **რუბენ ყიფიანი.**

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**გლეხთა დახმარება, თუ კომუნისტური პროპაგანდა-აგიტაცია.** კრასნო პრესნენსკის სარაიონო კომიტეტი ენერგიულათ ემზადება „გლეხთა კვირის" გასატარებლათ. კომიტეტმა გამოყო ხსენებული კვირის კომისია. ამ კომისიის მიზანია: ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმის საორგანიზაციო და სააგიტაციო მხარეს და ამ მხრივ კომისიამ უკვე ბევრი რამ გააკეთა. რაიონის ყველა ქარხნებსა და წარმოებებში მოწყობილ იქნა მიტინგები, სადაც ლაპარაკობდნენ „გლეხთა კვირის" მნიშვნელობაზე. მიტინგები კარგათ ტარდებოდა, მუშათა განწყობილება საუცხოვო იყო, ყველას სურვილი აქვთ საჩქაროთ დაეხმარონ გლეხებს, რითაც კი შეიძლება. ზოგიერთი წარმოებები უკვე ზედმეტს მუშაობენ გლეხებისათვის. მსხვილ წარმოებებში უკვე მუშაობენ „ტროიკები", რომლებიც უშუალოთ მუშაობენ წარმოებებში; ამ აგიტაციებში არკვევენ იმ მასალათა და იარაღთა რაოდენობას, რომელიც შეიძლება მოხმარდეს გლეხთა ინვენტარის შეკეთებას. რაიონები აგროვებენ ამ ცნობებს და შემდეგ ადგენენ მუშაობის საერთო გეგმას. სოფელში სამუშაოთ გაიგზავნება 55 მუშისაგან შემდგარი რაზმი, ეს რაზმი დაეხმარება გლეხებს მინდვრის გაწმენდაში და ინვენტარის შეკეთებაში. ფართოთ იქნება დაყენებული აგიტაციაც. („პრავდა" № 177.)

**საჭირო განმარტება.** სახალხო სასამართლოს განსაკუთრებულ სესიის მიერ გასამართლებულ „იღუმენია" სერაფიმას შესახებ, რომელსაც გადაუწყვიტეს სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთ განყოფილებაში მოთავსება, საჭიროა შემდეგი განმარტება: „განსაკუთრებულმა სესიამ გამოუტანა იღუმენია სერაფიმას შემდეგი განაჩენი: „იღუმენია" სერაფიმა (იგივე ევდოკია ვორობიოვა) საჭირო იყო მშრომელთა სახალხო გამარჯვებამდე საზოგადოებისათვის მოგვეშოროებინა როგორც პარაზიტული ელემენტი, მაგრამ მოხუცებულობის გამო დადგენილ იქნა მისი სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთ განყოფილებაში მოთავსება სახელმწიფო ხარჯზე". არავითარ პრივილეგიებზე აქ ლაპარაკი არ არის. „პრავდის" 174 ნომერში გამოქვეყნებულ ფაქტების შესახებ სწარმოებს სპეციალური გამოძიება და დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემულნი. რევოლიუციური კანონების თანახმად. მოსკოვის სახალხო სასამართლოთა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ლევიტსკი.**

**სემიონოვის ბანდები.** ვერხნეუდინსკი. 7 აგვ. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩერვონიმ საპროტესტო ნოტით მიმართა იაპონიის უმაღლეს კომისარ გრაფ მაცუმაურას იმის გამო, რომ აღმოსავლეთ ბაიკალის იქითა მხრის მე-5 ე დივიზიის ევაკუაციის დროს კონტრრევოლიუციონური ნაწილები სემიონოვის რაზმისა იტაცებენ და სპობენ სახელმწიფოს ქონებას, აფეთქებენ რკინის გზის ხიდებს, ანადგურებენ რკინის გზას, გარდა ამისა, სცარცვავენ ადგილობრივ მცხოვრებთ, ართმევენ მათ ჯოგებს და სხვ. ასეთი ფაქტები მოწმობენ იაპონიის სარდლობის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულობის დარღვევას, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ სიმონოვის ჯარები სცნობენ ამ ხელშეკრულობასო. („პრავდა № 170).

**ცეცხლი.** ხარატოვი 7 აგვ. სოფელ პავლოვსკში, ხვალინის მაზრაში გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც მოსპო 400 სახლამდე. დაიწვა თითქმის საბჭოთა ყველა დაწესებულება და რამოდენიმე ბეღელი პურით (7000 ფუთი პურის დამწვარი).

ვოლსკის მიდამოებშიაც გაჩნდა მთელი რიგი ცეცხლისა. მაზრაში ხშირია ცეცხლის გაჩენა. ფიქრობენ—ბოროტი განზრახვით უნდა იყოს ეს გამოწვეული.

**სმოლენსკი.** 7 აგვ. ვიაზმაში გაჩნდა დიდი ცეცხლი. ცეცხლი გაუჩნდა ყველა სასურსათო საწყობებს. სმოლენსკიდან სასწრაფოდ გაიგზავნა მქრობელი რაზმი, რომელმაც ცეცხლს თითქმის ლიკვიდაცია უყო. („პრავდა" № 170).

**კოსტრომა.** მაზრებიდან ცნობები მოდის, რომ მთელ რიგ ტყეებისა, ხანგრძლივი გვალვების გამო ცეცხლი გასჩენია. მაგალითად, ვარნავინსკის მაზრაში იწვის ასეული დესიატინა ტყე, მიუხედავათ იმისა, რომ ჩასაქრობათ გამოწვეულია მთელი მაზრის მცხოვრები. პრავდა") № 177).

## მთებში და უღელტეხილებში

15 ივლისი.

ქედაში სრული სიწყნარე დავხვდა. ხალხი ჩვეულებრივ მუშაობას შესდგომოდა. ჯარიც თავისუფლად დაბანაკებულიყო.

გამოირკვა, რომ კესკინ-ზადე რამოდენიმე ასეული „ჩეტნიკებით" და ტყვიის-მფრქვევლებით ხულოში ჩვენ შესვლისთანავე აჭარიდან ლაზისტანისაკენ წასულიყო.

16 ივლისი.

შუადღის ორ საათზე ხულოში ზემო-აჭარის ყველა სოფლების წარმომადგენლების კრება გაიხსნა. ყრილობას 200-დე წარმომადგენელი დაესწრო. გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა წარმოსთქვა. მისი სიტყვის შემდეგ იწყება სიტყვები

ჯ—ბ. ხ. ჩვენ ამ ორი წლის წინეთ ვიბრძოდით საქართველოს ჯარის წინააღმდეგ. აჭარის ხალხს მოვუწოდებდით საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთი მივიღეთ. ამ დრომ გაიარა და ჩვენ გავიგეთ სინამდვილე, მივხვდით რომ აჭარის ხალხი საქართველოს ვერ მოშორდება. საქართველოს მოსვლა აჭარის ხალხის აუცილებლობაა. საქართველო და აჭარა განუყოფელია. ჩვენ გვინდა მტკიცე კანონები, წესიერება, ადმინისტრაცია, შკოლა, სარწმუნოების დაცვა. ლაპარაკი ზედმეტია პატარა და ღარიბ აჭარის ავტონომიაზე.

შ.—აღა—ბ. ჩვენ თაობიდან საქართველოს მოსვლისათვის ვიბრძოდით. მოველოდით დედა სამშობლოს. თქვენი მოსვლით ჩვენ უნდა მივიღოთ ის, რაც თქვენ გაქვთ თქვენი დემოკრატიული წესწყობილება ჩვენშიაც უნდა მოვიდეს თქვენთან ერთად. აჭარის ხალხმა უნდა მიიღოს თავის სამშობლო საქართველოდან განახლებული ცხოვრება. ჩვენც გამოგვიყენეთ, ჩვენგანაც მიიღეთ, რის მოცემაც შეგვიძლია. ჩვენ მთლიანი საქართველოს წევრები ვართ და განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ავტონომიას, რასაც ჩვენ ვერ მოუვლით, ვერ მივიღებთ.

მოლ. შა—ყ. ეფ. სალამი საქართველოს! ჩვენ დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებთ. იმედია დაიცავთ რჯულს, მოგვცემთ გზას — განათლებისაკენ. წარსულს დაივიწყებთ და მომავალს შევქმნით.

ალ. ეს. ერ. ჩვენ დიდი გაჭირვება ავიტანეთ. დამნაშავეებია ჩვენი ეთაურები. ეხლა ჩვენ ძველები აღარ გვინდა ფუხარა ხალხი უნდა აღსდგეს. გელოდით და კეთილი იყოს მოსვლა თქვენი.

წარმოითქვა სხვა სიტყვებიც და ყრილობა საღამოს დაიშალა. ხალხი წავიდა ახალი იმედებით. საღამოს ჩვენთან მოვიდნენ ახალგაზრდები და განაცხადეს, სთხოვეთ მთავარ შტაბს დაარსდეს ჩვენში ახალგაზრდებისაგან შემდგარი გვარდია.

17 ივლისი.

დილის 4 საათზე გამოვეთხოვეთ ზემო აჭარას. მშვენიერი ხეობა, ლამაზი სოფლები და მთები დავსტოვეთ. შევუდექით ისევ მოსაწყენ ბილიკებს, მთებსა და უღელტეხილებს.

ბევრი რამ მომითხრო აჭარის უტყვმა მწვერვალებმა, მდინარეებმა, უდაბურ ტყეებმა. ბევრი რამ მითხრა ხალხმა, სამი თვის ამბებმა. ვინ იცის, როდის ვნახავ აწ მე მის დაღრემილ ტყეებს, მახოლოდ უნდა ვსთქვა ყველაფერი და ჩქარა.

მე მწვავე ფიქრებით, ახალი კითხვებით გატაცებული ვუახლოვდებოდი ისევ ჩემს უღელტეხილებს, მთებს, ხუჭუჭა ნაძვის ტყეებს...

მზეს კი თავი ამოუყვია აღმოსავლეთიდან, თავისი ნარ-ნარი შუქი მოეფრქვია მწვერვალებისათვის... ტყიდან ჩიტუნების გალობა მესმოდა, ნიავი ჰქროდა, სიცივე იყო და „იაილებში" მწყემსთა დილის სალამური ისმოდა...

განახლებული აჭარას გამოვეთხოვე და მე უნდა ვუთხრა ყველას ის, რაც დამაბარეს:

„გთხოვთ აჭარის ახალგაზრდობის სალამი გადასცეთ მშობლიურ საქართველოს. საქართველომ მოგვიტანს აქ უდაბურ აჭარაში ახალგაზრდებს ახალი იდეებიო... **ობოლი მგზავრი.**

## ნაწყვეტები

(ძველი რვეულიდან).

1.

მე გახლავართ ერთგული
ფუტკრისფერი თვალისა,
(თუმც არ ითქმის საჯაროდ
გულის ზრახვა ქალისა,)
მაგრამ... რა ვქნა!?—ჩავვარდი
შფოთვასა და ურვაში:—
მე ცოდვილს მომეწონა
თაფლისფერი ულვაში!..

2.

დღეს. ამორძალმა დაბრკოლებულმან
გადავიწყვიტე ავკაზმო რაში
და ხვალიდანვე აღსანიშნავი
რამ უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში!
ხვალ. ამორძალი ველარ გამოვდექ..
მარტო სახელი აბა რათ ვარგა!
იგივ დღიური ზრუნვა მაბრკოლებს
და ჩემი რაშიც გადაიკარგა.

3.

ძველი რვეული გადავშალე და
ლექსი ტრფობისა ვიპოვნე ერთი;
აბა, როგორ არ გამიკვირდება—
ამად გამიწყრა პარნასის ღმერთი?!
თვითონ მუზამაც ერთობ იწყინა,
მოტრფიალემან თუ რათ მაკოცა...
აღარ მოფრინდა იგი ფარფატით
და გამაწბილა... და გამაოცა!!

**ხაბილინა.**

## საბჭოთა რუსეთის სინამდვილე

II.

მარტში ჩვენთან მოვიდნენ და გვითხრეს, რომ უნდა დაიყოთ კატეგორიებათო. ჯამაგირების მომატებაა და აირჩიეთ დამფასებელი კომისიაო.

ჩვენ ასეც მოვიქეცით. ავირჩიეთ კომისია. მუშები დაყვეს 15 კატეგორიათ. პირველ კატეგორიის უწლოვანებს ჯამაგირები 40 მანეთამდე, სამუშაო ექვსი საათი. დანარჩენ მოზრდილთა კატეგორიას—მეთუთხმეტე კატეგორიას რომლებიც ნახშირის მჭრელებია 93 მ., „სანკების" გამომთრევს გადმომტეხლებს (მე-15 კატეგორიაშია) ამათაც 93 მ. ვაგონების დამტვირთავები და დამმაგრებელები მაღაროში გზების (კრეპელშჩიკ) მე-14 კატეგორიას ეკუთვნის—84 მან. მე-13 კატეგორიას ეკუთვნის პირველი მოხელე ზეინკლები—75 მ., მე-12—11 შედიან მაღაროს სამთო „დესიატნიკები": ზეინკლები, მჭედლები—65 მ. დღიური ხელფასი, მე-10 კატეგორია „პლოტნიკები", „პალტაბოიცები"—58 მ., დანარჩენი მე-9, 8, 7, 6, 5, 4, 3 კატეგორიაში შედიან. მემანქანეები, მენასოსები, რომლებიც წყალს ამქაჩავებენ მაღაროებიდან, კაჩეგრები, მაღლა დესიატნიკები, მაღაროში მომუშავე „სიგნალშჩიკები", მოგორებლები, ჩამომბმელები დარე „პლოტნიკები"; მაღლა ვაგონების დამცლელები „სარტიროვკაში" მომუშავენი, განურჩევლად სქესისა —ყველა ესენი იღებენ ხელფასს 44 მანეთიდან 56 მანეთამდე, ამ ჯამაგირებით დაგვაკმაყოფილეს ჩვენ პირველ იანვრიდან 1920 წ. მუშაობის პირობები 8 საათი. მუშაზე 2 გირვანქა პური, გირვანქა მანეთ-ნახევრათ, არა მუშაზე თითო გირვანქა. აქ 8 საათის მუშაობა და პურის ფასი მანეთ-ნახევარი გირვანქა დენიკინის დროსაც.

ამ მხრით ბალშევიკებს არაფერი გაუკეთებია. ეს სამუშაო დღე და პურის ფასი დენიკინის დროსაც ასე იყო. სხვა აქ არაფერიაც არ არის მეტი ხელ-მისაწდომი ფასებში. ზეთი გირვანქა 60 მ. 1 გირვანქა თვეში გვეყოფა არ გვყოფა, არავინ კითხულობს. თუ ბაზარზე იყიდი ზეთი 150 მანეთი. შავი ფქვილი 2 ათასი 2 ათას ხუთასი. ეს არის იქ ბაზრის ფასი. თუ იშოვნი, მარა ვერ იშოვნი. გლეხები დაშინებულია, არ წამართვანო. ისე ჩუმათ მოგცემს, თუ შეეხვეწები ძალიანს. განა შეიძლება ამ ჯამაგირების აღებმა მუშებმა შეინახონ თავი? აქ არიან კანტორის მოსამსახურეები. ამათი ჯამაგირებიც კატეგორიებათ არის დაყოფილი არა უმეტეს 3,500 მანეთისა. ამას იღებენ უფროსი ინჟენერი. დანარჩენები არა ნაკლებ 1200 მანეთისა. ეს არის ჯამაგირები.

ჯამაგირებს გარდა ჩვენ გვპირდებოდენ ყველაფერს: ფარჩას, ფეხსაცმელს, პურს, მარა ვერაფრის მოტანას ვერ ვეღირსეთ ამ ხნის,—სამი თვის განმავლობაში.—მარტის დამლევს მოიტანეს ასი წყვილი ჩექმები, ეს ასი წყვილი ჩექმა ექვსასზე მეტი მუშისთვის.

ეს მხოლოდ ჯერ, მერე კიდევ მალე მოვიტანთ ყველაფერსო. ჩვენ ვუცდით. იმათ მოლოდინში ჩვენ არაფერიც არ ვიყიდეთ. ვფიქრობთ: მოგვიტანენ და ასე ვმუშაობთ. კვირა დღეობით ვაგონებს ვტვირთავდით. მარა არაფერიც არ მოაქვთ. სიძვირე უსაშველოთ მატულობს. ასე რომ, ჯერ ერთი გამოჩენილათ ვერაფერს იშოვნი, თუ ფული გაქვს, მაშინ იშოვნი, ისიც ჩუმათ, თუ სანდო კაცი არ ხარ, არ მოგყიდიან.

ასეთ პირობებში ვმუშაობთ.

გვითხრეს—კოოპერატივში ჩაეწერეთ და მაშინ მიიღებთო. ვინ იტყვის ამაზე უარს? ყველამ ჩავეწერათ. ზოგიმა ორ-სამ პაის მოაწერა ხელი, ზოგმა მეტს. და ახლა ვფიქრობთ. ახლა მალე იქნება ყველაფერი. გადაწერილი სია და კაცი გავგზავნეთ. ვუცდით საქონელს, მარა საქონელი კი არა, ეს გადაწერილი არ გამოდგა იმიტომ, რომ თითო წევრს თითო პაის ეკუთვნისო. ასე ტყვილა გაგვიარა ერთი კვირის თავის ტეხამ და არჩეული კაცების დაცდენამ.

მობრუნებულები გვეუბნებიან, რომ საჩქაროთ იყოს გადაწერა ცეხობრივ და წევრზე ერთი პაი. ვიღაც სამხედრო კომისარია მოსული და იმან თქვაო, მე მაქვს ფეხსაცმელები და სხვა რამე რამეებიო თქვენს რაიონზე მოცემულიო. აბა, ასე მოვიქცეთ. ახლა კი ველით, მაინც რამეს მოგვიტანენ. გავაგზავნეთ კიდევ ჩვენი არჩეულები. ახლა კარგად არის გადაწერილი. ასე ვფიქრობთ ჩვენ. იქ უთხრეს თურმე ამ ჩვენს არჩეულებს: პაის დადება არც კია მაინცადამაინც საჭირო, ჩვენ ფული ბევრი გვაქვს, მხოლოდ ჩვენთვის საჭიროა რიმდენი რიცხვი იქნებაო და მეტი არაფერიო. ასე ჩვენი არჩეულლი კაცები ამას გვიხსნიან.

გაიგეს ჩვენმა მუშებმა, რომ იმათი შეპირება არ მოდის სისრულეში.

ახალ მუშები ფიქრობენ: წავალთ მაინც სახლში ჩვენ კარ-მიდამოს მივხედავთ. ბევრმა მოინდომეს წასვლა, მარა არ გაუშვეს არც კაცი, არც ქალი. წარმოიდგინეთ, არც მოხუცი კაცი. აღარ ღირს სიცოცხლე. აქ შეგვპირდნენ ყველაფერს მომცემთო,—არაფერი. შეგვპირდნენ ფეხზე, მარა ვერაფერი მოგვიტანეს. ხის ქოშები დააკეთეს მუშებმა და იმით მუშაობენ, იმით დადიან.

ჩვენ ვმუშაობთ კვირას. რაღაც ფრონტის კვირა შეიქნა—ორი საათი მეტი უნდა გვემუშავა. პირველი მაისი ვიმუშავეთ თორმეტ საათამდე. 12 საათს მერე გამოვედით სადღესასწაულოთ. დღესასწაული კარგი, შესანიშნავათ მოგვეწყო. ილაპარაკეს ზოგიერთმა პირებმა, თუ რას წარმოადგენდა პირველი მაისი, მერე კი გამოვიდენ ისეთებიც, რასაკვირველია, რომლებმაც მენშევიკები დენიკინთან გაასწორეს და ლატიშების გამყიდველების სახელი უწოდეს. ხალხი ბლომათ დაესწრო.

მეორე დღეს კვირას კიდევ სამუშაოზე გამოგვიწვიეს. მუშები ამბობენ: რაა ეს უქმე დღეს ყოველთვის გვამუშავებენ უფასოდ. ჩვენ უქმე დღეს წინათ არ ვმუშაობდით და თუ ვმუშაობდით, ორ ხელფასს ვიღებდით. ახლა იმუშავე და არც ხელფასი და არც ის, რაც შეგვპირდენ. შემდეგ კვირისთვის მუშები სადღაც მიდიან, რომ დაემალონ კვირის მუშაობას. კვირა დილით ადრე ჩამოიარს მილიციონერი და გვიწერს—წამოხვალ თუ არა სამუშაოთ. მუშები ფიქრობენ,—თუ უარი ვთქვით, მაშინ შეიძლება რამე მოვიდეს: ან შაქარი, ან რამე და არ მომცემენო. ასე მიდის მუშები ვაგონების დასატვირთავათ.

მუშაობა მაღაროებში საგრძნობლათ დაეცა. ასე რომ, პროხოროვის საუკეთესო მაღაროთ ითვლება მე-4 №. ამ ნომერში 1915 წელში ოც ათასამდე ფუთი ნახშირი ამოქონდათ დღე და ღამეში და ამ ზამთარში კი ამ მაღაროში ხშირად სათბობ ნახშირს მე-9 №-დან ეზიდებოდენ. ამ მე-9 №მა იხსნა პროხოროვი შიმშილისაგანაც, იმიტომ, რომ ამ ნომერში დიდძალი ნახშირი არის ამოღებული ძველი და მიუდგომლობით ვერ მორთეს გატანა. ეს მოგვეშველა და ვცვლიდით პურზე, კართოფილზე და ზეთზე, მარა ამ ბოლო დროს აღარც იმის ნება მისცეს ჩვენს მართველებს, რომ გაეცვალათ: ჩვენ მოგიტანთ პურსაც და ყველაფერსო სიტყვით, მარა საქმით ვერაფერი მოიტანეს.

ჩვენს მაღაროში მაგათი მოტანილი არის 200 ფუთი პური, რომელიც მაღაროს ეყოფა 4 დღეს. სხვა მაგათი მოტანილი არის შვიდ-შვიდი არშინი ჩითი, ისიც მარტო მომუშავეებს. ეს საჩუქარი მივიღეთ ჩვენ საბჭოთა მთავრობისაგან, რომელიც ყველაფერს გვპირდებოდა!

აბა, რა ქნას იმ მუშამ, რომელსაც წვრილი ცოლ-შვილი ჰყავს სარჩენი და ჩასაცმელ-დასახურავი. ბევრისაგან გავიგონე როცა მიიღეს შვიდი არშინი ჩითი: რა ვუყო ამას: მე შევიკერო, ქალს, თუ ბავშვებსო. შემდეგ წავიკითხეთ გაზეთში, რომელიც კედელზე იყო აკრული—ამხანაგებო მუშებო! მიიღეთ თუ არა თქვენ ჩვენი გამოგზავნილი ჩითი შვიდი არშინი მუშაზეო. თუ არ მიგიღიათ, რატომ არ გვაგებინებთო და თუ მიიღეთ, რატომ ნახშირს არ გვიგზავნითო. ზოგიერთი მუშები ამის წაკითხვაზე იცინოდნენ: ჯერ ერთი, რომ ეს ჩითი, რომელიც გამოგვიგზავნეს—წინათ მაგის ფასი იყო ერთი მანეთი. ჩვენ რამდენი კვირა ვიმუშავეთ უფასოდ? ხშირათ შეგვხდება ბავშვები სიშიშვლის გამო სკოლაში ვერ დადიან, მეტადრე ზამთარში.

ახლა მინდა ცოტა რამე ვთქვა მუშების პარტიულ განწყობილებაზე. როგორ ეწერებიან მუშები კომუნისტებთან. პირველად იანვარში დაიწყეს წერა. კომუნაში ჩაეწერა სამოცდა ათ კაცამდე. მერე უნდა გაზრდილიყო ეს პარტია, მარა სამაგიეროთ იმისა რომ გაზდილიყო, 25 წევრზე ჩამოვიდა. ასეთი ბოლო დაურჩა ჯერ-ჯერობით კომუნის პარტიას პროხოროვში!.

მარა ეს პარტია მაინც თავის ინიციატივას ატარებს. იყო ასეთი მაგალითი, რომ ამ პარტიას სადმე თავის წევრი გეეგზავნა. როცა მობრუნდა, მთელი კრება შეყარა და აკეთებს მოხსენებას. ჩვენ გაგვიკვირდა. ჩვენ არსად გაგვიგზანიხარ და ჩვენთვის არ გიკითხავს შენ, იქ წასვლა. მობრუნდი და ჩვენ შეგვიყარე თავი: კარგი მაინც ახლა, რომ არ დაგვტოვეთ უყურადღებოთ.

დაიწყო: მე ვიყავი ლუგანსკში კომუნისტების კონფერენციაზე. იქ იყო კამენევიო, ჩვენ მივესალმეთ კომპარტიასო, ლენინ-ტროცკისო. შემდეგ ილაპარაკაო, გვიხსნის ორატორი, კამენევმა დღევანდელი მდგომარეობა და, აქო დღევანდელი ბრძოლის ბოლო თუ რანაირი იქნებაო. სხვათა შორის ფულის შესახებაც: ფულიო, კამენევმა აგვიხსნაო, ფულსო უთვალავათ და უანგარიშოთ ვუშობთო და სხვა.

როცა გაათავა ორატორმა მოხსენება თავმჯდომარე რაღაც სხვა და სხვა განცხადებას შეუდგა. ამ ორატორმა, სანამ განცხადების მსჯელობას გავათავებდით, დასწერა მისალმების დეპეშა და წინადადებას გვაძლევს გავუგზავნოთ, თუ არა მისალმების დეპეშაო. რა უნდა ვუთხრათ. ვარი ვთქვათ—არ არის კარგი და ვეთანხმებით, გააგზავნეს. ამ ნაირათ, ოცდა ხუთმა გაგზავნა 600 კაცის სახელით მისალმება.

მუშები ყველა გულ-გატეხილი, უიმედოა. აბა, რის იმედი უნდა დაურჩეს მუშებს, როდესაც მშიერი მოსკოვი პირდება ჯერ კიდევ დაუმშევართ (შედარებით მოსკოვზე და ჩრდილოეთ რუსეთზე) ყველაფრის მოტანას. მუშებს ფულის იმედი აქვთ, რადგანაც მუშა ფულს იღებს და იმით უნდა შეინახოს თავი და ესენი ეუბნებიან: ფული არაფერი არ ღირსო.

ყველაფერი მუშების შემწუხებელი და გამწამებელია, მარა ყველაზე მეტი ფულის დაცემა. მუშები მარტო ფულის შემხედვარე არიან. ფულს აძლევენ შრომის ფასად და ამით უნდა იცხოვროს მუშამ, მეტი იმედი მას არ აქვს.

თუმცა და გვპირდებიან ჩვენ მოგიტანთო, მარა ტყუილია. ასეთი ტკბილი სიტყვები ვერაფერს მოგვიტანს, თუ ჩვენით არ გაგვაკეთეთ. ჯერ ჩვენგან უნდა წაიღონ და მერე ჩვენ მოგვცემენ, იმასაც ცოტას და არა იმდენს, რამდენიც ჩვენგან წაიღეს.

ახლა, სოციალური მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში და თავისუფლება. არავითარი გაზეთი არ გამოდის გარდა ბალშევიკ-კომუნისტების და არც ეს არის. მუშების ბიბლიოთეკაში ჩემს წამოსვლამდე ერთი გაზეთიც არ მოდიოდა. თუ რამე თქვეს წეს წყობილების შესახებ, რასაკვირველია ჩერეზვეჩაიკა და სხვა. ან სად არის თავისუფალი წერა-კითხვა და ლაპარაკის ნება, გარდა კომუნისტისა. თუ კომუნას აქებ, ილაპარაკე, თუ არა, არაფერი არ თქვა. ასეთ სოციალიზმშია დღეს რუსეთის ხალხი.

მეც დავაპირე სახლში წამოსვლა. არ მიშვებენ. მე ვუთხარი: როგორც მე ქართველი, მგონია კი უნდა მქონდეს წასვლის ნება. ისინი მიპასუხებენ: წასვლის ნებას არავის არ ვაძლევთო. დამიწერეს ქაღალდი და გამგზავნეს ჩისტიაკოვის რაიონს ვეკუთნოდით, იქ წავედი. შევედი იქ, სადაც გამგზავნეს, რაიონის კომისართან. ეს არ არის ჩვენი საქმეო. აბა, მე ვე-

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის სავაჭრო

# ა. ი. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი

ქ. ბათომი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა № 26

სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: და ჭურჭლები შუშის, ფაიფურის, ფაიანსის, ემალის, ალიუმინის და სხვ. ვყიდულობთ და ვყიდით ყოველნაირ ავეჯეულობას.

(2396—10—2)

კითხები: ისი საქმე; მე არ ვიცით, პასუხი. ასე ოთხი დღე დამჭირდა, სანამ ავიღებდი წამოსვლის ნებას. ოთხჯერ დამჭირდა წასვლა წამოსვლა.

მე ჩემი საქმისთვის არ მივიქცევ მკითხველის ყურადღებას მხოლოდ მინდა რამოდენიმეთ გავაცნო, თუ რის იმედს ვამყარებდით ჩვენ რევოლიუციაზე. მე ასე ვფიქრობდი, რომ უმუშევართა და ზედმეტ მოსამსახურეთა რიცხვი შემცირდება და ბოლო მოეღება მეთქი. და ახლა, მომატებას დავანებოთ თავი თუ ერთი ათად გახდა, მაგრამ აქ ერთი ათად კი არა, ერთი ასად გამხდარა მოსამსახურეები. კარგი რომ, რამეს აკეთებდენ, მარა რა უნდა გააკეთონ, როცა არაფერია და არც იშოვება არაფერი მასალა იმისი, რაზედაც ისინი მსახურობენ. ასე რამოდენიმე სახლები აქვთ დაჭერილი. შიგ შეხვალთ, კანტორშჩიკები სულ ყოველგან სავსეა და რას სწერენ, რას აკეთებენ, ეს ღმერთმა იცის! უბედურება ის არის, რომ მუშებზე უფრო კარგ ცხოვრებაში, უფრო ჩაცმული და დახურული და ჯამაგირიც მუშებზე მეტი. მაღაროების კანტორშჩიკებს იმათზე მეტი საქმე აქვთ და ჯამაგირი კი ნაკლები.

ერთხელ მოვდიოდი მე ჩემი ამხანაგით ერთად და წამოვეწიეთ გზაში სამ მეურმეს, რომლების შეხედვამ ჩვენი გული ბოლმით აავსო. მივედით ახლო და გამარჯვება ვუთხარით. მათაც გვიპასუხეს. მერე გვთხოვენ საწყლები გვაჩუქეთ რამეო. (ჩვენ ვაჩუქეთ შეძლების და გვარად) შევხედეთ ამ სანახაობას: ცხენები დავარდნილი, თვითონ მოხუცნი ქალნი და კაცები ერთიანად შიშველი. დანაკერი ძაფები უფრო მეტი იყო იმათ ტანისამოსზე, ვიდრე ფარჩა. ფეხებზე თოკით მოქსოული ქალამნები და ისიც სულ დახეული. იქ იყვნენ პატარა ბავშვები, ისინიც ისე საშიშრად სანახავი, მოზდილი გასათხოვი ქალები, ისინიც ისე შიშველნი. იქ ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით, ისიც ასე დაგლეჯილ ტანისამოსში, მშივრები საწყლები! ჩვენ ვკითხეთ: საიდან მოდიხართ ბიძიაო. მან თავი ჩაღუნა და გვიპასუხა: ორლოვის გუბერნიიდანო. სად მიხვალთ. ყუბანში. რატომ, ჩვენ ვეკითხებით: რატომო და ჩვენში პური აღარ იშოვება და შიმშილისაგან ვიხოცებითო და შეძლება ყუბანში ვიშოვნოთ რამე სამუშაო და შიმშილს თავი დავახწიოთ. მე კი იმდენეთად თავს არ ვინაღვლებ, მხოლოდ ეს პატარები მეცოდებაო. რკინის გული უნდა ჰქონდეს კაცს იმათ რომ შეხედავ. ასეთი სანახავი მე იმ ოთხ დღეში ორჯერ ვნახე. ვთხოვ ბალშევიკებს დამიმტკიცონ სადმე რამეში ჩემი სიყალბე. მე მსურველი ვარ და ნებას ვაძლევ თუ კი რამე სიყალბე აღმოჩნდება, ამ ჩემ დაწერილში, მხოლოდ თუ მაკლია, ეს ჩემდა საუბედუროდ ჩემი უხერხულობის ბრალია.

მე მოვემზადე სახლში წამოსასვლელად: ამდენი ხანი იქ ვიმუშავე სახლში წამოსავალი ფული მე არ მქონდა, ანდა ამის ზემო მოყვანილ ჯამაგირის ფულით განა სადმე წახვალ? არა ამ ჯამაგირით დღეს ვერაფერს მიიღებ, რომ გზის ფული დაგრჩეს. მე გავყიდე რაც მქონდა ჩემი ტანისამოსი და თუ რამე გამაჩნდა და შევაგროვე ორმოც და თორმეტ ათასამდი (52,000 მ.) ამ ფულით წამოვედი. მეტი არც ტანზე, არც ფეხზე. ასე ჩემმა ამხანაგმაც.

მოვდივართ რკინის გზაზე, ხან ტორმუზებზე. ხან სახურავებზე ხან კი სულაც გვერეკებიან და ჩამოგვყრიან ძირს. ვინ არ იცის დღეს როგორი მიმოსვლაა რუსეთის რკინის გზაზე. სამგზავრო ვაგონი ეკუთვნის კამენდატ-კომისრებს და აფიცრებს და ვილაც ასეთებს. და ისიც სამი-ოთხი კაცი დაიჭერს მთელ სამგზავრო ვაგონს და ისე მიემგზავრება, თუ სადმე ინებებს წაბრძანებას და ჩვენ კი, უფრო რომელიც მუშა და საწყალი ხალხია, იმათთვინ რასაკვირელია, საქონლის ვაგონი და სახურავი, მარა კარგი რომ ბაც იყოს ადგილი? არა, ბაც ისეთია, როგორც ბოჭკაში ტარანის თევზი. არც დასაჯდომი, არც რამე მგზავრებს. ორი სამი დღის მგზავრობა სულ ფეხზე უხდებათ დგომა. ასე რომ, ღარიბი ხალხის ფასი სულ არაფერიც არ არის. ჩამოყრიან სახურავებიდან და იყავი იქ, სადგურიდანაც გაგრეკავენ. წადი სადაც გინდა. ასე მეც მომიხდა. ჩამოგვრეკეს ელოვაცკის სადგურზე, მერმეთ როსტოვში 2 დღეს გაგვაჩერეს. მაღლა სახურავზე ვიდოდით, ჩამოგვრეკავდენ ძირს. ასე ვაი-ვაგლახით და თავის ტეხით მოვედით კავკავში.

კავკავის სადგურზე შემხვდა ერთი ქართველი ახალგაზრდა. მე ვკითხე. საიდან მოდით, ქალაქიდან. სად მიხვალ? ხარკოვში. მეც ვუთხარი მე სად ვიყავი, როგორია იქაური მუშაობა. მე ვეკითხები, როგორ არის საქართველოში?..

იონა მშვიდობაძე.

## პროფეს. კავშირებში

**შრომის ანტისანიტარული პირობები.** მბეჭდავთა კავშირმა ყურადღება მიაქცია, რომ „ქართულ ამხანაგობის" სტამბის მუშებს უხდებათ მუშაობა მეტად ვიწრო შენობაში და ანტისანიტარულ პირობებში. კავშირმა არა ერთხელ მისცა წინადადება სტამბის ადმინისტრაციას, აეშორებინა თავიდან ეს ნაკლი, მაგრამ ადმინისტრაცია ყოველთვის იმათ უპასუხებდა, რომ სტამბისთვის საჭირო შენობის ნაწილი კერძო პირს უჭირავს და ამიტომ შეუძლებელი ხდება ნაკლის თავიდან აცილებაო. ამის გამო კავშირმა მიმართა შრომის კომისარს, ან აიძულოს სტამბის ადმინისტრაცია და სტამბისთვის სხვა უკეთესი ბინა მოაძებნინოს, ან მიმართოს ქალაქის გამგეობას, გაანთავისუფლებინოს კერძო პირის მიერ დაკავებული სტამბის სადგომის ნაწილი.

**შეგირდების ხელფასი.** უკანასკნელ მომატების გატარების დროს აღმოჩნდა, რომ მცირე წლოვანი შეგირდები უფრო მეტს იღებენ ვიდრე მუშები. მბეჭდავების კავშირებმა დაადგინა შეგირდებს 100 პროც. მოუმატოს, მაგრამ ისე, რომ შეგირდების და დიდი მუშების ჯამაგირების შორის წინად არსებული განსხვავება დარჩეს.

**შვებულების შესახებ.** სამხედრო სტამბის უფროსმა მბეჭდავთა კავშირს მიმართა თხოვნით, რომ ნება დართოს მას ამაინძველ თეთრუაშვილს კუთვნილ შვებულების მაგიერ ზედმეტი ჯამაგირი მისცეს. კავშირის გამგეობამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა კოლექტიურ ხელშეკრულების § 11-ის ძალით.

**მელითონეთა შორის.** მელითონეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს შრომის და მომარაგების სამინისტროს, რომ მომარაგების ფონდიდან სურსათი მიეცეს ყველა წვრილ წარმოების მუშებსაც, მათ შორის წისქვილებისაც ზედმეტ ჯილდოს 25°/ₒ ის მიცემის მაგიერ.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 25 აგვისტოს შედგა ამხ. გიორგაძის თავმჯდომარეობით ს. ს დ. მ. პირველ რაიონულ კოლექტის წევრთა კრება.

ცენტრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. მანჯგალაძე. მოხსენება მიღებულ იქნა ცნობათ. იგივე აკეთებს მოხსენებას რაიონულ კავშირის ს. დ. ფრაქციის სახელით, თუ რა ზომები მიიღო ადმინისტრაციის წინაშე რაიონულმა კავშირმა მუშა-მოსამსახურეებისათვის შეშის მისაწოდებლათ და პურის სუფთად გამოსაცხობათ. ადმინისტრაცია—ამბობს მომხსენებელი, ყოველგვარ საშუალებით ცდილობს, რომ მუშებს როგორმე თავის დროზე მიაწოდოს შეშა, მაგრამ ამ რთულ საქმის შესრულება მის ძალ-ღონეს აღემატება, და ეს გარემოება აყენებს მას უხერხულ მდგომარეობაში. თუ ჩვენც არ დავეხმარეთ ადმინისტრაციას, არ გვაქვს საიმედო გარანტიები, რომ კუთვნილი შეშა მივიღოთო თაავებს მომხსენებელი. კრება ღებულობს დადგენილებას: ვინაიდან „რკინის გზების ადმინისტრაციამ თავის დროზე არ ითავა მუშა მოსამსახურეებისათვის შეშის დამზადება—კრება ავალებს რაიონულ კავშირის ს. დ. ფრაქციას მიიღოს საჩქარო ზომები, რომ აღნიშნულ ადმინისტრაციას რათაც არ უნდა დაუჯდეს მიაწოდოს მუშა მოსამსახურეებს თავის დროზე კოლექტიური ხელშეკრულობის თანახმათ მათი კუთვნილი შეშა.

მოხსენებები ადგილებიდან, ამხ. დ. კალაძე მთავარ სახელოსნოების ქვე-კოლექტივის. საერთოდ მდგომარეობა გამწვავებულია მუშების ცუდ ეკონომიური პირობების გამო: ჯამაგირის მომატებით მუშების ნივთიერი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, ასი პროცენტით ჯამაგირის გადიდებამ გამოიწვია პირველ საჭირო საგნების ორასი და მეტი პროცენტით გაძვირება. ამას დაუმატეთ, რომ ამ ბოლო დროს მუშებს მეტად ცუდი ხარისხის გამომცხვარი პური ეძლევათ. ამ ნიადაგზე მუშებში ვრცელდება ავათმყოფობა. წამალის შოვნა არ არის და თუ იშოვება სადმე,—ისეთი ძვირია, რომ მისი ყიდვა მუშებს არ ძალუძთ, არც შეშის მიღების იმედი აქვთ. რკინის გზების ადმინისტრაციის უთავობაა, რომ მან თავის დროზე არ დაამზადა შეშა და დღეს კი ეუბნება, რომ მას არ ძალუძს მიაწოდოს ზამთრისათვის მუშა-მოსამსახურეებს შეშა. ეს იწვევს მუშებში საშინელ აღელვებას—ათავებს მომხსენელი.

ამხ. კ. ქუთათელაძე—უმატებს აღნიშნულ ნათქვამს: როდესაც მშრომელი ხალხი გაჭირვებას და შიმშილს განიცდის, ამისთანა დროს „პრივილეგიებით" არავინ უნდა სარგებლობდეს, ქეიფს და ფუფუნებას ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

ამხ. ი. გიორგაძე (საქონლის სადგურის ქვე-კოლექტივი). მუშაობა ჩვეულებრივ მიმდინარეობს. პარტიაში ჩაწერის მსურველთა რიცხვი ბოლო დროს საგრძნობლათ გაიზარდა, მაგრამ მათ დიდი სიფრთხილით ვიღებთ პარტიაში. შეშის შესახებ რაიონულმა კავშირმა ნება დართო, თითონ მუშა-მოსამსახურეებმა, ჯგუფობრივ—ეხლავე შეუდგნენ თავიანთვის ზამთარისთვის შეშის დამზადებას. პურის შესახებ რკინის გზების სასურსათო კომიტეტი იმით მართლულობს თავს, რომ მას მთავრობა ისეთ ფქვილს აძლევს—რომლისაგანაც უკეთესი ხარისხის პური არ გამოცხვებაო.

ამხ. კ. კუტალაძე—ახალგაზრ. მარქ. წარმომადგენელი—ამ ბოლო დროს ჩვენ ორგანიზაციას შორდება ინტელიგენტური ნაწილი, [illegible]

[illegible]

## მუშათა შორის

[illegible]

## პროვინცია

[illegible]

## წერილი რედ. მიმართ

[illegible]

## ღია წერილი

[illegible]

ვტოვებ სამსახურს, კავშირს და ავ ზარგები თფილისიდანაც, ხოლო თუ ვერ დაამტკიცებთ, მაშინ თქვენ მოიხადეთ ასეთივე სასჯელი.

სასამართლო უნდა შესდგეს კავშირის გამგეობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა 5 დღის განმავლობაში.

გიგო ჟიჟია (ე. ბომბოთელი)

## ცნობები

ვაუწყებ ბ ხარაიძეს, („ერთობის" № 187) რომ ანარიაზე დაკოდილ გმირის დოლიძის რელიკვიები: სისხლის ჯვარი და პაწია ხატი წმ. ბარბარესი, გადავეცი მაშინვე პატივცემულ მღვდელს ჩხიკვაძეს, როგორც ადგილობრივ ცხოვრებს და მთავარ წევრს კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა გმირების დამარხვა. თედო ცინცაძე

1920 წ. 54 აგვ. სამტრედია.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

# განცხადებანი

## დავკარგე

ს. ს. დ. მ. პარტიის წიგნაკი—მოცემული 1-ლ რაიონიდან ვალერიან ნიკოლოზის ძე ქლენტის სახელზე № 3068. ითვლება გაუქმებულათ.

(2797—1—1)

## ექიმი შ. ა. შაურაძე

სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დეები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible] განოების სნეულებანი. ავადმყოფების [illegible] ღება ყოველ დღე დილის 8—11 და [illegible] ღამის 5—8 საათამდე. ქალების 4—[illegible] კვირაობით [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქ. № [illegible] (1228 25 4)

## სამხედრო ხე-ტყის ქარხანა

ამით აუწყებს, რომ მას დამზადებული აქვს დიდძალი

## ნახერხი

და მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ შეღავათიან ფასებში, მისამართი: მადათოვის კუნძული. (ნ. 6—4)

## ექიმი გ. ი. ოქროპირიძე

ილებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

## ექიმის ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გაძნილებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ.

(თ. 2577)

## ექიმი ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სასამართლოს პირდაპირ. (2264

## სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

## მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყირილნოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

## ექიმმა ნიკოლოზ მახვილაძემ

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 8—9-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

(თ. 2528)

## ოხურგეთში ექიმი ს. ვ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით (გულის, ფილტვების და კუჭ-ნაწლავის) სიფილის შეხაპუნება „914 და 606". ქ. სიამაშვილის სახლში.

(თ. 2634.)

## ექიმი ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 5 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 2722-[illegible])

## ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობის დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს

(2446—თ.

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

ილებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

## ექიმი ლ. ა. სარალიძე

ილებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. აგჭალის აუდიტორიის ახლო

(2383—თ.

## ქ. ბათომში

სასწრაფოთ იყიდება მოწყობილი 10 ნომრიანი

## სასტუმრო რესტორანით და სცენით

პირობების გასაგებათ მსურველმა უნდა მიმართოს ქ. ბათომში მარინის პრ. № 29 მნაცაკანოვს. (279—1—1)

## მიწად-მოქმედების სამინისტროს ოთხ სემესტრიანი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი კურსების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დაწყებულია თხოვნების მიღება 1 სემესტრზე. კურსები შესდგება სამ განყოფილებიდან: მემინდვრეობის, მებაღეობის და მესაქონლეობის. იმ პირთ, რომელნიც დაამთავრებენ აღნიშნულ კურსებს, ენიჭებათ სპეციალობის მიხედვით აგრონომ-მებაღის, აგრონომ-მემინდვრის და აგრონომ-ზოოტეხნიკის წოდება თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ ა წ. 16 მარტს გამოცემულ დეკრეტისა. კურსების მსმენელათ მიიღებიან საშუალო და უმაღლეს კურს დამთავრებულნი; აგრეთვე მიიღებიან თავისუფალი მსმენელნიც. თხოვნა იწერება კურსების დირექტორის სახელზე (მთავრობის დაწესებულებათა შენობა ყოფილი კადეტის კორპუსში, სასოფლო-სამეურნეო განყოფილება) და მასთან ერთად წარდგენილი უნდა იყოს მოწმობა განათლების შესახებ და გადასახადი სამასი მანეთი (300 მ.) მსმენელთათვის და 350 თავისუფალ მსმენელთათვის. თხოვნების მიღება გრძელდება ა. წ. ოქტომბრის 1-მდე. მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 10-ს.

კურსების დირექტორი ა. როლოვი. (2786—2—1)

## თფილისის მაზრის ერობა

ამით აცხადებს რომ 31 აგვისტოს მის სადგომში (რუსთაველის ქ. № 6) 1 საათზე მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

სოფელ ხაშმში ოთხ-თვლიანი წყლის მომუშავე წისქვილის იჯარით გადასაცემათ. მსურველთ შეუძლიანთ წერილობათაც განაცხადონ თავისი ფასი. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ საწინდარი 25000 მან. უნდა იყოს წარმოდგენილი. დაწვრილებით ცნობები ერობის სატეხნიკო განყოფილებაში მიეცემათ 1—2 საათ.

(2779—2—2)

## გატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ

## „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"

ილებს ყოველგვარ საკერავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლაში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწაფე ქალები ჭრა, კერვის, ქარგვის, და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლათ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა 9, ეზოში. (2775—10—2)